გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№60 (816) 31 მაისი – 2 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


# მხოლოდ 40 თეთრი

# ვინ მოკლა გია ჭანტურია



გვ. 12

**ბაჩუკი ქარდავა:** „მკვლელობამდე ორი კვირით ადრე გიორგი ჭანტურიამ მითხრა, პრიმაკოვის კაბინეტში ჩემი ლიკვიდაციის გეგმა განიხილებაო...“

**ირინა სარიშვილი:** „ტყვია ღლემდე ორგანიზმში მაქვს. ორ ფეხზე მოსიარულე სამხილი ვარ, მზად ვარ ოპერაცია გავიკეთო...“

**მამუკა გიორგაძე:** „ჩემს ხელთ არსებულ მასალებს გამოძიებას აუცილებლად მივაწვდი...“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს — სწორედ ესაა ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ!“



რა განცხადებები გააკეთა შს მინისტრმა ევროპული პოლიტიკის ცენტრში საჯარო გამოსვლისას გვ. 2

## „მაგთიკომი“

ბატონი ემზარ ჯგერენაიას ცილისწამებას პასუხობს გვ. 6

## „კაიზერი“ — ცოცხალი ბავარიული ლეგენდა გვ. 7

## სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დასკვნა გამოძიებამ თავდაყირა დააყენა

ექსპერტი დავით ბედია „ვერსიას“ გამოძიების სკანდალურ დეტალებს უმხელს გვ. 3

## არასაპარლამენტო პარტიები კოალიციას ქმნიან

ვინ იქნება ახალი მემარჯვენეების და ქრისტიან-დემოკრატების საერთო კანდიდატი გვ. 5

## პატრიარქის კურთხევით, წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღება მალე დაიწყება



გვ. 6

2-წლიანი კასტინგის შემდეგ, 4000-მდე მსურველიდან, ნინოს როლზე არამსახიობი ქართველი გოგონა — ნიცა კაპანაძე შეარჩიეს

## მაია მიმინოშვილი: „ეროვნული გამოცდები აღარ გაუქმდება!“



წელს, აბიტურიენტებს, ფაკულტეტებისა და სასწავლებლების არჩევის საშუალება გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგაც ექნებათ და ყველა ფაკულტეტზე დაფინანსების ერთნაირი პრინციპი იმოქმედებს გვ. 8

## „5 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა სამსახურიდან წასვლის განცხადება მოტყუებით დამაწერინეს“

სახალხო დამცველი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ ორსულთა აღდგენას მოითხოვს! გვ. 11

## ოფიციალური ვიზიტი ბრიუსელში

# ირაკლი ღარიბაშვილი: „კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს — სწორედ ესაა ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ!“

ანი დადიანი

**საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება, სადაც ევროპული პოლიტიკის ცენტრში საჯარო შეხვედრა-დისკუსია გაიმართა. განხილვის თემა იყო საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, პოლიციისა და იუსტიციის სისტემაში მიმდინარე რეფორმები, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, ასევე, მიგრაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები. შეხვედრა გაიმართა ფონდში „ღია საზოგადოება“, რომელშიც მონაწილეობდნენ დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. „ვერსია“ გთავაზობთ მნიშვნელოვან აქცენტებს ევროპული პოლიტიკის ცენტრში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლიდან.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა საზოგადოებასთან საუბარი საქართველოში შექმნილი კრიმინოგენული ვითარებით დაიწყო, რითაც უკანასკნელი პერიოდის მანძილზე სულ უფრო ხშირად სპეკულირებს ყოფილი ხელისუფლება და განაცხადა:

**„ჩვენ ბევრი სპეკულაცია მოვისმინეთ კრიმინოგენულ ვითარებაზე, დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით, თუმცა ყოველივე ეს არ წარმოადგენს სიმართლეს და სპეკულაციის ნაწილია. თქვენი ინფორმაციისთვის და იმისთვის, რომ შევადაროთ სტატისტიკური მონაცემები, ავიღოთ 2006-2009 წლის შედეგები, მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის მონაცემები და შევადაროთ წინა წლების იმავე პერიოდს. დანაშაულისა და კრიმინალური საქმეების რაოდენობა ოცი, ოცდახუთი და ოცდაათი პროცენტით მეტიც იყო, ახლანდელ პერიოდთან შედარებით. ეს ფაქტი არავინ იცოდა, არ საუბრობდა და არ შუქდებოდა მედიით. ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით, დანაშაულმა მცირედ მოიმატა ქურდობებისა და წვრილმანი დანაშაულის ხარჯზე, თუმცა არსებობდა ბევრი ფაქტორი და მიზეზი, რითაც შეიძლება ამის ახსნა. ეს გახლავთ, უპირველესად ის, რომ პოლიცია და შსს უკიდურესად პოლიტიზირებული იყო საარჩევნო კამპანიის პერიოდში, პოლიციის უმთავრეს საზრუნავს არჩევნების ჩატარება წარმოადგენდა. პოლიციის თითოეული თანამშრომელი იმაზე მუშაობდა, როგორ მოეპოვებინა ხმები, რადგან სწორედ ეს ჰქონდა დავალებული წინა მთავრობისა და ყოფილი შსს მინისტრისგან. მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო პარალიზებული და დემორალიზებული. როდესაც ახალი მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში, პოლიციის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ, რადგან არ იღებდნენ ინსტრუქციებს. 2012 წლის ნოემბრიდან ჩვენ დავიწყეთ სისტემური ცვლილებები, განვახორციელეთ რეორგანიზაცია და მივიღეთ ახალი თანამშრომლები. ამისთვის კი დაგვჭირდა გარკვეული პერიოდი, რათა მუშაობა ჩვეულ რიტმს დაბრუნებოდა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ოთხი ახალი დეპარტამენტი, რასაც ასევე გარკვეული დრო, დაახლოებით, 3-4 თვე დასჭირდა. სწორედ ამის შემდეგ, 2013 წლის იანვრიდან, დანაშაულის რაოდენობამ კლება დაიწყო. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ მიუხედავად უპრეცედენტო ამნისტიისა და დაახლოებით თერთმეტიათასი გათავისუფლებული პატიმრისა, ვითარება კვლავაც კონტროლის ქვეშაა“.**

## რა განცხადებები გააკეთა შს მინისტრმა ევროპული პოლიტიკის ცენტრში საჯარო გამოსვლისას




ირაკლი ღარიბაშვილი ასევე შეეხო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე საზღვრის დემარკაციის პროცესს და საზოგადოებას ისიც განუმარტა, რა ქმედებებს გეგმავს შინაგან საქმეთა სამინისტრო: **„საზღვრის დემარკაციის პროცესი, რომელიც სხვათა შორის, წელიწადნახევრის წინ დაიწყო, ახლაც მიმდინარეობს. ამის შესახებ ვაცნობეთ ყველა საელჩოსა და ევროკავშირს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში, 3 ივნისს იგეგმება პრეზენტაცია, რათა ვაჩვენოთ მსოფლიოს, კონკრეტულად, რა ადგილებში მიმდინარეობს დემარკაციის პროცესი“.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა ასევე შეახსენა საზოგადოებას, თუ რა მემკვიდრეობა ერგო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ახალ გუნდს: **„როდესაც ვსაუბრობთ პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე, მინდა შეგახსენოთ ის არქივი, რომელიც დაგვხვდა სამინისტროში, როგორც სამარცხვინო ფაქტი. რა თქმა უნდა, აქ იმისთვის არ ვარ, რომ ვაკრიტიკო წინა მთავრობა, თუმცა ეს არქივი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობდა წინა მთავრობა, რა მეთოდებს იყენებდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ; მეტიც, იყენებდა არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ საკუთარი გუნდის წევრების წინააღმდეგაც. ეს სამარცხვინო ფაქტია, რის გამოც ჩვენ, მომდევნო კვირაში, ვგეგმავთ არქივის განადგურებას. უკვე შევთანხმდით სახალხო დამცველის ოფისთან, რომ არქივი უნდა განადგურდეს. ჩვენ ამნისტიას ვთავაზობთ ყველას, ვისაც გააჩნია ამ უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების ასლები. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ერთი თვის განმავლობაში ჩაგვაბარონ ჩანაწერები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისჯებიან კანონის მიხედვით. მე წარმოვადგენ იმ მთავრობას, რომელმაც ჩემი პირველი მოადგილე დააპატიმრა იმიტომ, რომ მან დაარღვია კანონი. სწორედ ასე მუშაობს ჩემი მთავრობა“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა აქვე განმარტა ოპონენტების მიერ გავრცელებული ინფორმაცია საჯარო მოხელეების სამსახურიდან მასობრივი გათავისუფლების შესახებ და დააზუსტა სტატისტიკა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოველ წელს, სამი ათას ხუთასამდე თანამშრომელს ათავისუფლებდა სამსახურიდან, თუმცა ეს საკითხი ნაციონალური ხელისუფლების საჯარო განხილვის თემა არ ყოფილა. შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, **„დღეს მათ ეს საკითხი წამოსწიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ახალი მთავრობა. ახლა აცხადებენ, რომ სამსახურიდან დავითხოვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები. დიახ, მე ეს გავაკეთე! ისინი არ იყვნენ ნამდვილი პოლიციელები, არ იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. ისინი გავათავისუფლე იმიტომ, რომ ასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს. ეს იყო პოლიტიკური რეპრესიის მანქანა და სწორედ ამიტომ გავაუქმე“.**

რა თქმა უნდა, ევროპული პოლიტიკის ცენტრში გამართულ საჯარო შეხვედრაზე მონაწილენი გვერდს ვერ აუვლიდნენ საქართველოს შს ექსმინისტრისა და ექსპრემიერის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების ფაქტს. ამასთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

**„ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 95%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სწორედ ეს არის დემოკრატია, რისკენაც ახალი მთავრობა ისწრაფვის. მოსახლეობის 95%-ს მიაჩნია, რომ შეუძლია, ისაუბროს ნებისმიერ თემაზე. როდესაც კანონდარღვევისთვის დავაპატიმრე საკუთარი მოადგილე, რატომ არ შეიძლება დავაკავოთ თუნდაც ყოფილი მინისტრი ან პრემიერ-მინისტრი, თუ გაირკვევა, რომ მან კანონი დაარღვია?! ახლა მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, დააპატიმრებენ თუ არა მას.**

**ჩვენ აგვირჩია საქართველოს მოსახლეობამ, რომელიც სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. 2011 წლის 26 მაისს ქუჩაში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი?! ხალხი გვთხოვს სამართლიანობის აღდგენას. ამ გარდაცვლილი ადამიანების მშობლები ქუჩაში არიან გამოსულები და, პროკურორთან შეხვედრის მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროს წინ, რიგში დგანან. მათ ასევე შეხვედრა უნდათ ჩემთან და მე რა ვუპასუხო? — ვუპასუხო, რომ ვერ დავაპატიმრებ ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვანო მერაბიშვილს და ვერ აღვადგენ სამართლიანობას იმიტომ, რომ ეს ყოველივე პოლიტიკური საკითხია და სენსიტიური თემაა?!.. ეს სამარცხვინო ფაქტია, ჩვენ გვაქვს ქვეყანა, სადაც კანონის უზენაესობას პატივს უნდა სცემდნენ. ადამიანებს აწამებდნენ ციხეებში, აუპატიურებდნენ და ხოცავდნენ ქუჩებში. ვინ უნდა აგოს ამ ყველაფერზე პასუხი?!.. ჩვენ გვაქვს არქივი ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მიერ გადაღებული, რომელიც ათასობით უკანონო ვიდეო და აუდიომასალას შეიცავს. ის პროცესი, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, სრულიად ნორმალურია, რადგან ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. ამას პირადი ინტერესის გამო არ ვაკეთებთ, ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჭეშმარიტად, დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად, იმისათვის, რომ ვასწავლოთ ხალხს კანონის პატივისცემა.**

**წარმოვიდგინოთ, რომ მე ვარღვევ კანონს, დრო გაივლის და ოთხი, ხუთი ან ათი წლის შემდეგ, როდესაც, შესაძლოა, არც ეს მთავრობა იქნება და არც მე მთავრობაში, ახალმა ხელისუფლებამ აღმოაჩინა ჩემი დანაშაული, მე მაქვს თქვენთან კითხვა — უნდა დამკითხონ და დამაპატიმრონ, თუ არა? იმ შემთხვევაში, თუ ვიღებდი ქრთამს და ვიყენებდი ვინმეს უძრავ ქონებას მისი ნებართვის გარეშე, თუ მედება ბრალი ვინმეს მკვლელობაში, უნდა დავისაჯო თუ არა? შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი, ყველა უნდა იყოს პასუხისმგებლობით აღსავსე და კანონზე ზევით არავინ უნდა იდგეს. სწორედ ასე გვესახება დემოკრატია. არავინ იქნება პრივილეგირებული ამ ქვეყანაში და ესაა სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ!“**



## ვერსიანიუსი

### სოციალურად დაუცველებმა მერიასთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს




30 მაისს, თბილისის მერიასთან, სოციალურად დაუცველებმა აქცია გამართეს მოთხოვნით — შეასრულოს მერიამ დაპირება საცხოვრებელი ფართების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მათ მერის, გიგი უგულავასა და მერიის სოციალური სამსახურის უფროსის, მამუკა ქაცარავას გადადგომაც მოითხოვეს. რადგან „ისინი, დაპირებებს, დიდი ხანია არ ასრულებენ“: „მოვითხოვთ, გამოგვიყონ ფართები. ოქტომბერში დაგვირიგეს საბუთები. გვატყუებდნენ, რომ ყველა დაკმაყოფილდებოდა, შემდეგ, შვეიცარიის განვითარების ფონდთან ერთად, გააკეთეს რაღაც პროექტი, შეადგინეს კრიტერიუმები, რომელშიც ძალიან ბევრი ვერ ჯდება. ვინც ჩაჯდა, ისინიც არ შეუშვეს ბინებში“, — განაცხადეს სოციალურად დაუცველებმა და მერიის პიკეტირებითაც დაიმუქრნენ.

მოგვიანებით, მამუკა ქაცარავამ განმარტა: „შეიქმნა კომისია, რომელშიც მონაწილეობს ჯანდაცვისა და დევნილთა სამინისტროები. საზოგადოებას ვარწმუნებთ, პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანი იქნება. სახელმწიფო ყველას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ პირველ რიგში, ბინებით მათ უზრუნველვყოფთ, ვინც ყველაზე გაჭირვებულია“.

მერიასთან ვითარებას მერიის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები და სამართალდამცავები აკონტროლებდნენ. აქციის დროს, სოციალურად დაუცველი ერთი ქალბატონი შეუძლოდ გახდა და იგი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ქალბატონს აღენიშნებოდა ნევროზი, თუმცა ზოგადად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, სტაბილურია. რამდენიმე საათის შემდეგ, მერიის ცენტრალური შესასვლელი, პოლიციის მიერ გაკეთებული კორიდორის შედეგად, გაიხსნა.

*„ვერსიანიუსი“*

# სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დასკვნა გამოძიებამ თავდაყირა დააყენა



## ექსპერტი დავით ბედია „ვერსიას“ გამოძიების სკანდალურ დეტალებს უმხელს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსიის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტური გამოძიების გამო — „რა კავშირი აქვს გიგი უგულავას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალთან“, ერთ-ერთი ექსპერტი, დავით (ომარ) ბედია დაგვიკავშირდა, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და კიდევ უფრო სკანდალური ფაქტები გვიამბო. დავით ბედია გახლავთ თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსის, სოსო ალავიძის ბიძა (დედის ძმა), შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს უფროსის, დავით ბედიას მამა და შპს „მექანიზატორის“ დაკავებული გენერალური დირექტორის, ვაჟა ნახუცრიშვილის ნათესავი. უფრო ზუსტად, ვაჟა ნახუცრიშვილი სოსო ალავიძის მძახალია. მთავარი კი ისაა, რომ ბატონი დავითი საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსია. დავით (ომარ) ბედია ერთ-ერთი ექსპერტია, რომელმაც ელგუჯა შაფაქიძესთან ერთად, ორი ტრაქტორის — ჩეხური „ზეტორისა“ და თურქული „ნიუ ჰოლანდის“ მონაცემები შეადარა. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში დავით ბედია აცხადებს, რომ გამოძიებამ ექსპერტების დასკვნა თავდაყირა დააყენა!**

**— ბატონო დავით, „გარიაჩკინის“ მეთოდით დაადგინეთ „ზეტორისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების სიმძლავრე?**

— დიახ, ოღონდ ეს მეთოდი კი არა, „გარიაჩკინის“ ფორმულაა, რომლითაც გუთნის წევის წინაღობა დგინდება. ელგუჯა შაფაქიძე, მომჩივნის რეკომენდაციით მოხვდა „მოდულის“ შენობაში, მან კი მე გამიწია რეკომენდაცია. თქვენს ინტერვიუში ადვოკატი კახა ხვისტანი გეუბნებათ, რომ გამოძიებამ ექსპერტები შეცდომაში შეიყვანა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ისეთი პიროვნება ვარ, რომ თუ მართალი ვარ, ზეწოლას ვერავინ გაბედავს. გუჯა შაფაქიძე კი ამ მხრივ, ძალიან მყიფეა, „მოდულის“ შენობიდან რომ დაბრუნდა, მითხრა, ორი ტრაქტორის შედარება მთხოვეს და შენი გვარი ჩავაწერინეო. მეორე დღეს მოვიდნენ გამომძიებლები, რომლებსაც ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი მოჰყვა. გამომძიებელ გურამ როგავას თავიდანვე ვუთხარი, ამ ორი ტრაქტორის შესადარებლად, გამოცდის ჩატარებაა აუცილებელი-თქო...

**— უკაცრავად, ამ ტრაქტორების საველე პირობებში გამოცდა თქვენი ინიციატივა იყო?**

— დიახ, ასეა, რადგან გამოცდა აუცილებლად უნდა ჩატარდეს და იცით, როგორ? დავუშვათ, ორი ერთნაირი ტრაქტორია, ორივე მათგანზე ერთი და იგივე ტრაქტორისტი უნდა დავსვათ, რადგან მძღოლს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მოკლედ, გამომძიებლებს ვუთხარი, რომ გამოცდა უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ თქვეს, ამის საშუალება არ გვაქვსო (?!). მომცეს ორივე ტრაქტორის ტექნიკური დოკუმენტაცია, სადაც მათი მახასიათებლებია მითითებული. ამ მახასიათებლებით რაღაცას კი დაადგენ, მაგრამ ვერაფრით იტყვი, რომელი ტრაქტორია უკეთესი. გუჯამ წაიღო ეს მახასიათებლები და „გარიაჩკინის“ ფორმულით გამოთვალა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დოქტორები და აკადემიკოსები გახლავართ, ექსპერტები მაინც არ ვართ. ექსპერტი რომ იყოთ, აუცილებლად სერტიფიკატი და ლიცენზია უნდა გქონდეთ. ჩვენ კი არ გვაქვს, ამიტომ მეც და გუჯაც სპეციალისტები ვართ. როგორც გითხარით, შაფაქიძემ წაიღო ეს მონაცემები და „გარიაჩკინის“ ფორმულით სიმძლავრე გამოთვალა. გამოძიების მონაცემებით, „ზეტორის“ წონა იყო 4 381 კილოგრამი, ხოლო „ნიუ ჰოლანდის“ — 4 672 კგ.

**თქვენს სტატიაში გეუბნებიან, რომ თურმე ჩვენ დავწერეთ დასკვნა, რომლითაც „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორი უკეთესია „ზეტორზე“ უკეთესია. მსგავსი რამ არ მომხდარა. ჩვენ დავწერეთ: „ვინაიდან ტექნოლოგიური პროცესის ნორმალური წარმართვისთვის აუცილებელია, „გუთნის ჩაჭიდება“ მეტი იყოს „გუთნის კუთრ წონაზე“, ამ პირობას ოთხკორპუსიანი გუთნით მუშაობის დროს ასრულებს ტრაქტორი „ნიუ ჰოლანდი TD 5-110“, ხოლო ტრაქტორი „ზეტორ პროქსიმა პაუერ 120“, მიუხედავად იმისა, რომ 117-ცხენისძალიანი სიმძლავრე აქვს, ამ პირობას ვერ ასრულებს. იმისთვის, რომ ამ ტიპის ტრაქტორმა არ „იბუქსაოს“, ხვნის ოპერაციის შესრულებისას, მისი წონა 250 კგ-ით მეტი უნდა იყოს“.**

ეს მასალა გამოძიებამ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს გადასცა, საიდანაც ერთ-ერთი ექსპერტი, დათო გველესიანი და ერთი უცნობი პირი მოვიდნენ ჩემთან. გველესიანმა „ზეტორის“ ტრაქტორის სხვა წონა მოიტანა, რომელიც გამოძიების მიერ, ჩვენთვის გადმოცემულ მონაცემთან შედარებით, 85 კგ-ით მეტი იყო. ეს მონაცემები ჩავსვით „გარიაჩკინის“ ფორმულაში და გამოვიდა, რომ ამ წონის ტრაქტორი უკეთესია. დავწერეთ, მართალია, „ზეტორის“ ტრაქტორი აღარ „ბუქსაობს“, მაგრამ „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორს მაინც მეტი მარაგი აქვს.

**გველესიანს კი ვუთხარი, ამ დასკვნაში აუცილებლად უნდა დაიწეროს, რომ: „ჩატარებული თეორიული გამოკვლევა ვერ ადგენს ერთი ტრაქტორის უპირატესობას მეორესთან მიმართებაში. ამის დასადგენად საჭიროა, საველე, საექსპლუატაციო გამოცდების ჩატარება, მით უმეტეს, რომ დამატებით მოძიებული მასალების მონაცემები არ ემთხვევა წარმოდგენილ პარამეტრებს, განსაკუთრებით ტრაქტორების მასების შემთხვევაში, რაც გავლენას მოახდენს ტრაქტორის წევის თვისებებსა და ბუქსაობაზე“.**

დასკვნაში ისიც აღვნიშნეთ, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა უნდა განხორციელდეს წინასწარ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე, რაც გამორიცხავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მრავალმარკიანობას, სიჭრელესა და მათი მომსახურების სირთულეს. სიჭრელეში რას ვგულისხმობ, იცით? ამჟამად 8 ქვეყნის წარმოებული ტრაქტორები შემოაქვთ, სხვადასხვა ქვეყნის მოდელს კი სხვაგვარი ტექნიკური მახასიათებლები აქვს, ხვალ ან ზეგ რომ გაფუჭდეს, ვინ უნდა შეაკეთოს? ძირითადად, ტექნიკის რაციონალური შემოტანა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მზარდ განვითარებას განაპირობებს. აი, ეს იყო ჩვენი დასკვნა და დათო გველესიანს გადაჭრით ვუთხარი, თუ ამ ყველაფერს არ ჩაწერთ, ხელს არ მოგიწერთ-თქო. მეორე დღესვე მომიტანეს დასკვნა, სადაც ეს ყველაფერი ჩაუწერიათ და, რა თქმა უნდა, ხელი მოვაწერე.

**— გამომძიებლებს თქვენთვის რომ დაეჯერებინათ, „ზეტორისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორები მინდორში უნდა გამოეცადათ?**

— დიახ, საველე პირობებში მათი გამოცდა აუცილებელი იყო. მეტიც, დასკვნაში არც ერთი ტრაქტორი არ შეგვიდარებია და არ გვითქვამს, „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორი უკეთესია, „ზეტორის“ კი უარესიო. ჩვენ ვთქვით, რომ ეს ტრაქტორები მინდორში უნდა გამოიცადოს.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



30 მაისს, სასტუმრო „ძველ თბილისში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა **ნინო ბურჯანაძემ** საბოლოო გადაწყვეტილება გაახმოვანა — იგი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს: **„მზად ვარ, „სახალხო კრების“ წინადადება მივიღო და საპრეზიდენტო არჩევნებში ჩავერთო. მიმაჩნია, რომ ქვეყნის განვითარების ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე პოლიტიკური ბალანსის შექმნა აუცილებელია. საზოგადოება ხელისუფლებას ვეღარ გააკონტროლებს, თუ ძალაუფლება ერთი პოლიტიკური ძალის მიერ იქნება მონოპოლიზებული, რისი საკმაოდ მწარე გამოცდილება გვაქვს. „ქართული ოცნების“ ხელში ჭარბი ძალაუფლების თავმოყრა ქვეყანას საფრთხის წინაშე დააყენებს. თანაც მნიშვნელოვანია, ქვეყნის პრეზიდენტად ავირჩიოთ არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, არამედ ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც კოალიციისგან დავალებული არ იქნება. ასევე არ იქნება რომელიმე პოლიტიკური ძალისგან დანიშნული და სახალხო, საყოველთაო არჩევნებით იქნება არჩეული“.**

# „არასოდეს მქონია ილუზია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩემს კანდიდატურას მხარს დაუჭერდა“



მისივე განცხადებით, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ბალანსის არსებობა მმართველ გუნდთან დაპირისპირებას არ გულისხმობს. ნინო ბურჯანაძის განმარტებით, აბსურდია განცხადებები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტს პოლიტიკური გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს: **„ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში კითხვაც კი არ ისმება, უნდა ჰქონდეს თუ არა პრეზიდენტს პოლიტიკური გამოცდილება, მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიების 20%-ზე სხვა სახელმწიფოს ჯარები დგას და ორი ეთნიკური კონფლიქტი აქვს გადასაწყვეტი. ფაქტია, დღეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ობიექტური და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება. ის, რაც ხდება სოფელ დიცთან, გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებას ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები აქვს. მიკვირს, არჩევნებიდან შვიდი თვის განმავლობაში, რატომ ვერ მოვახერხეთ ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყება ქვეყანასთან, რომელთანაც ყველაზე დიდი პრობლემა გვაქვს. თავი უნდა დავანებოთ დასავლეთთან კეკლუცს და საქმეს მივხედოთ. რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს, რადგან თუ რუსეთს ეტყვი, რომ არ ენდობი, მაშინ დადებით შედეგს არც უნდა ელოდე“.** ბურჯანაძისვე განცხადებით, სანამ მმართველი გუნდი ჟენევის მოლაპარაკებებს ელოდება, პირობით საზღვარზე ბეტონის კონსტრუქციები გაჩნდება, რომლის მოგვარება შემდგომში ბევრად გართულდება. ბურჯანაძე 26 მაისის გამოძიებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემთხვევაში, ქვეყანაში ნაციონალების პარპაში დასრულდება. „ვერსიის“ კითხვაზე, ჰქონდა თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით პრემიერთან კონსულტაციები, ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილს 2012 წლის აგვისტოს შემდეგ არ შეხვედრია: **„არასოდეს მქონია ილუზია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩემს კანდიდატურას მხარს დაუჭერდა. არ ვიცი, რატომ ვრცელდებოდა მსგავსი ინფორმაცია. პრემიერთან შეხვედრისას თანამდებობებზე არასოდეს მისაუბრია, ჩვენ მხოლოდ იმაზე ვიმსჯელეთ, როგორ უნდა გავათავისუფლოთ ქვეყანა ნაციონალური მოძრაობისგან“.**

*რუსუდან შელია*

# გოგი თოფაძემ პარლამენტში ეკონომიკური მიმართულების ფრაქცია შექმნა



## რომელ ორ კანონპროექტს განიხილავს „ქართული ოცნება — მრეწველები" უახლოეს პლენარულ სხდომაზე?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე, ახალი ფრაქციის შექმნაზე განაცხადი შევიდა. „მრეწველების" ლიდერმა, გოგი თოფაძემ ეკონომიკური პროფილის ფრაქცია შექმნა, რომელიც პარლამენტში „ქართული ოცნება — მრეწველების" სახელით დარეგისტრირდა. ფრაქციაში 6 დეპუტატი გაწევრიანდა, მათ შორის, ფრაქციის ლიდერი, გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე, ასევე შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული ორი დეპუტატი, სამტრედიის რაიონის მაჟორიტარი გიორგი კახიანი და ბაღდათის რაიონის მაჟორიტარი პაატა კიკნაველიძე. როგორც გოგი თოფაძემ „ვერსიას" განუცხადა, ფრაქციაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებიც შედიან. „ქართული ოცნება — მრეწველები" პარლამენტში რიგით მე-10 ფრაქციაა. კონკრეტულად, რა მიზნით შეიქმნა ახალი ფრაქცია და რა ძირითად კანონპროექტებზე იმუშავებენ დეპუტატები? „ვერსიას" ახალი ფრაქციის ლიდერი გოგი თოფაძე ესაუბრება.**

— ბევრი კითხვა დაგროვდა. განსაკუთრებით, საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით. ძირითადად, იმ საკითხებზე ვიმუშავებთ, რაც ძალიან ცუდად შეეხო როგორც ბიზნესმენებსა და ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებს, ასევე — ფერმერებს. ვგულისხმობ, საგადასახადო კოდექსის წნეხს და ეს ყველაფერი წინა ხელისუფლების „დამსახურებაა". ამ წნეხის წყალობით ცდილობდნენ, არც სოფელში დარჩენილიყო ვინმე და არც ჩვენი, საკუთარი წარმოება გვქონოდა. რაც შეეხება გადასახადების გადახედვას, გადასახადების სიდიდეს არ ვგულისხმობთ, უბრალოდ, რამდენიმე საკითხია, რომელთა სასწრაფოდ გადაწყვეტა მდგომარეობას გამოასწორებს: უნდა ამოქმედდეს უდანაშაულობის პრეზუმპცია, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოწმებით მეწარმეს პირდაპირ ბრალი აღარ უნდა წავუყენოთ. ეს ნაციონალური მოძრაობის მავნე პრაქტიკა იყო, როდესაც მეწარმეს საკუთარი სიმართლე უნდა დაემტკიცებინა სასამართლოში, სადაც კარგად იცით, რა ხდებოდა. პირადად მე, 23 სასამართლო პროცესი მქონდა და წინა ხელისუფლების პირობებში, 23-ვე წავაგე. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი აუცილებლად უნდა გამარტივდეს. საგადასახადო სამსახურის თანამშრომელს საქმიანი წრეების წარმომადგენლების დატერორებისა თუ დაჩაგვრის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

**პრობლემაა ისიც, რომ ზოგიერთი სახეობის პროდუქტი რამდენჯერმე იბეგრება და ამ მიმართულებით საგადასახადო კოდექსი უნდა გამოსწორდეს, რომელიც ისეა ჩახლართული, შემმოწმებელს როგორც სურს, ისე კითხულობს. რაც მთავარია, ქველმოქმედება არ უნდა დაიბეგროს. მაგალითად, თუ მეწარმე საკუთარ თანამშრომლებს უფასო კვებით უზრუნველყოფს, ამ ნაწილში აღარ უნდა დავბეგროთ. არადა, წინა ხელისუფლების პირობებში, ამის გამო მეწარმეებს მილიონობით ლარს ართმევდნენ. დღეს აქტუალურია ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის შემთხვევებიც, არადა მიწის რეესტრი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. დღემდე არ ვიცით, რა რაოდენობის სასოფლო ან არასასოფლო დანიშნულების მიწა გვაქვს საქართველოში. რაც მთავარია, მიწა ძალიან იაფია. იცით, რა ხდება? დავუშვათ, ფერმერმა ბანკიდან სესხი აიღო. მოსავალი არ მოვიდა და სესხი ვერ დაფარა, სხვა ქონება კი არ გააჩნია, სამაგიეროდ, მიწას ფლობს, რომელიც შეიძლება გაყიდოს — აი, ეს მიწები გადავიდა უცხოელების ხელში. არადა, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და ეს პროცესი ტრაგედიად შემოგვიტრიალდება.**

მართალია, ევროკავშირი წინააღმდეგია, რომ მიწის გაყიდვას ვეტო დავადოთ, მაგრამ გარკვეული ფორმა აუცილებლად უნდა გამოვნახოთ. მაგალითად, ვიდრე არ აღვწერთ, რა რაოდენობის და რა დანიშნულების მიწა გვაქვს, იქნებ, დროებით მაინც შევაჩეროთ მიწის გაყიდვის პროცესი. პარლამენტში უკვე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და ბევრი ცნობილი სპეციალისტიც ჩამობრძანდა თბილისიდან ქუთაისში, განხილვას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც ესწრებოდა.

**როგორც ხედავთ, საკმაოდ ბევრი თემა დაგროვდა და აუცილებელია პროფესიონალებმა იმსჯელონ. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ ახალი ხელისუფლება არაფერს წაართმევს. ამავდროულად, საქმიანი წრეების წარმომადგენლებსაც იმედი უნდა დაუბრუნდეთ. ბოლო დროს, მეწარმეები და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს. მუშაობა აღარ უნდოდათ, რადგან იცოდნენ, რომ თუკი მოგებას ნახავდნენ, ხელისუფლება წაართმევდა. არ ვამბობ, რომ ხვალ-ზეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება, მაგრამ მოქმედება დღესვე უნდა დავიწყოთ და ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება მათზე ზრუნავს. ჩვენი ფრაქციის შექმნა საჭირო იყო, რათა პარლამენტში ამ საკითხების განხილვა დავიწყოთ.**

— **ბატონო გოგი, ახალი ფრაქციის ძირითადი პროფილი ეკონომიკური მიმართულება იქნება, ხომ?**

— დიახ, მაგრამ პარლამენტში ათასი საკითხია. მათ შორის, იურიდიული, სოციალური, პოლიტიკური. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური პროფილი ჩვენთვის უფრო მისაღებია, რადგან ამ სფეროს პროფესიონალები ვართ. რაც მთავარია, ყველა უბედურებამ, რაც წინა წლებში ხდებოდა, სწორედ ჩვენს თავზე გადაიარა.

— **იმ ბიზნესმენებზე თუ იზრუნებს თქვენი ფრაქცია, რომლებიც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვენ?**

— რა თქმა უნდა, იზრუნებს! მეტსაც გეტყვით, ჩვენი ფრაქციის ერთ-ერთმა წევრმა, პაატა კიკნაველიძემ უკვე მოამზადა კანონპროექტი, რომელიც დაყაჩაღებული ბიზნესმენებისთვის ქონების დაბრუნებას გულისხმობს. ხომ გახსოვთ, ბიზნესმენებს იჭერდნენ და მერე აიძულებდნენ, საკუთარი ქონების დათმობაზე ხელი მოეწერათ. გვინდა, ისეთი კანონი მივიღოთ, რომ ამ ხალხს გასაჩივრების რეალური უფლება ჰქონდეს.

— **ამ კანონპროექტის გარდა, რა არის ის უმთავრესი თემა, რასაც თქვენი ფრაქცია უახლოეს სხდომაზე განიხილავს?**

— ორი თემა გვაქვს მომზადებული, ერთი პაატა კიკნაველიძის მომზადებული კანონპროექტია, მეორე თემა კი მეწარმეების უდანაშაულობის პრეზუმპციას ეხება. როგორც აღვნიშნე, საგადასახადო კოდექსი მეწარმისთვის ტვირთი აღარ უნდა იყოს იმიტომ, რომ მეწარმემ კი არ უნდა იმართლოს თავი, შემმოწმებელმა უნდა წაუყენოს ბრალი.

გამოხმაურება „ვერსიის" პუბლიკაციაზე

# სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დასკვნა გამომძიებამ თავდაყირა დააყენა?

მე-3 გვერდიდან

— **უკაცრავად, მაგრამ თქვენზე, როგორც ექსპერტზე, რაიმე ტიპის ზეწოლა ხომ არ განუხორციელებიათ, რათა დასკვნა შეგეცვალათ? იმიტომ გეკითხებით, რომ ამის გამო, ადამიანები ციხეში ჩასვეს...**

— არა, ბატონო, რას ამბობთ! ჩემთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს! ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, როდესაც გამოძიებისთვის უკვე გაგზავნილი მქონდა დასკვნა, რომლის ასლსაც გაგატანთ, იმ დასკვნაში რაიმე ტიპის მონაცემს როგორღა შევცვლიდი? ახლა მეორე დასკვნაც განვიხილოთ, მითხარით, რა არის აქ შეცვლილი? უბრალოდ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენელმა სხვა პარამეტრები მოგვაწოდა და ესაა განსხვავება. ნებისმიერ პირობებში და ყველგან დავიცავ ჩემს პოზიციას და თუ ამ საქმეში კორუფციის ნიშნებია, საკუთარი ხელით დავხოცავ იმ ჩემს ნაცნობებს... თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში კორუფციის ნიშნები არ იქნება. მეტიც, როდესაც „ზეტორისა" და „ნიუ ჰოლანდის" ტრაქტორების შემოწმება გვთხოვეს, მათი ფასის შესახებ ჩვენთვის არაფერი უთქვამთ. ამ ტრაქტორების ღირებულება მოგვიანებით შევიტყვეთ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ამის გამო ადამიანები ციხეში ჩასვეს, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩემს გამო ამდენი ადამიანი ციხეში იჯდეს, მით უმეტეს, ისეთი არაფერი დამიწერია.

— **კორუფციის ნიშნებზე გამოძიება აქცენტს ტრაქტორების ფასის მიხედვით აკეთებს. მათ მიაჩნიათ, რომ ჩეხური კომპანია „ზეტორის" ტრაქტორებში 9 000 ევროთი მეტი გადაიხადეს.**

**— ჩემი აზრით, „ზეტორზე" ყურადღება, ალბათ, სწორედ მისი მაღალი ფასის გამო შეაჩერეს. საერთოდ, იტალიური და სხვა ევროპული წარმოების ტრაქტორები, დაახლოებით, 47 000 ევრო ჯდება, თურქული წარმოებისა კი — 27 000 ევრო. რატომაა თურქული ტრაქტორი ასე იაფი, ნუთუ იქაური მუშახელია იაფი? დიახ, თურქული მუშახელი იაფია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქაური ტრაქტორები 20 000 ევროთი ნაკლები უნდა ღირდეს!**

— **როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც ტრაქტორების სპეციფიკაციები განსაზღვრა, რჩევისთვის ვინმემ მოგმართათ?**

— არავის მოუმართავს. ელგუჯა შაფაქიძეს რომ არ ეთქვა ჩემი გვარი გამომძიებლებისთვის, არავის გავახსენდებოდი და ძალიან კარგიც იქნებოდა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES OF GEORGIA

თბილისი, 0102, ი.ჯავახიშვილის ქ. №51
I.Javakhishvili str. №51 Tbilisi, 0102, Georgia
ტელ/ph/Fax (+99532) 2940214 ელ-ფოსტა/E-mail: gaas.georgia@gmail.com

4.04.13 № 01-57

შსს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს უფროსს
ზ. ჯამასპიშვილს

დასკვნა: ვინაიდან ტექნოლოგიური პროცესის ნორმალური წარმართვისათვის აუცილებელია $P_{ნაკ}>P_{გუთ}$; მაშინ ამ პირობას ოთხ კორპუსიანი გუთნით მუშაობის დროს ასრულებს ტრაქტორი "New-HollandTD5-110", ხოლო ტრაქტორი "ZetorProxima Power120" ,მიუხედავად მისი ძრავის 117 ცხ.ძ. სიმძლავრისა, ამ პირობას ვერ ასრულებს; იმისთვის, რომ ამ ტიპის ტრაქტორმა არ იბუქსაოს ხვნის ოპერაციის შესრულების დროს, საჭიროა მისი წონა იყოს 200-250 კგ-ით მეტი.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები, აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა უნდა განხორციელდეს წინასწარ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე, რაც გამორიცხავს ს.მ. ტექნიკის მრავალმარკიანობას, სიჭრელეს, ასევე გამორიცხავს მათი მომსახურების სირთულეს. ტექნიკის რაციონალური შემოტანა განაპირობებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ მზარდ განვითარებას.

დასკვნა: ვინაიდან ტექნოლოგიური პროცესის ნორმალური წარმართვისათვის აუცილებელია $P_{ნაკ}>P_{გუთ}$; მაშინ ამ პირობას ოთხ კორპუსიანი გუთნით მუშაობის დროს ასრულებს ორივე ტრაქტორი: "Zetor Proxima Power120" და "New-HollandTD5-110"; როგორც გაანგარიშებიდან ჩანს ტრაქტორს "New-Holland TD5-110" ნიადაგთან ჩაჭიდების მარაგი შედარებით მეტი აქვს, ვიდრე ტრაქტორ "Zetor Proxima Power120" –ს.

ჩატარებული თეორიული გამოკვლევები ვერ იძლევა ერთი ტრაქტორის მეორის მიმართ უპირატესობის დამტკიცების საშუალებას. ამის დასადგენად საჭიროა საველე, საექსპლუატაციო გამოცდების ჩატარება, მით უმეტეს, რომ დამატებით მოძიებული მასალების მონაცემები არ ემთხვევა წარმოდგენილ პარამეტრებს (განსაკუთრებით ტრაქტორების მასების შემთხვევაში), რაც გავლენას მოახდენს ტრაქტორების წევით თვისებებზე და ბუქსაობაზე.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები, აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა უნდა განხორციელდეს წინასწარ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე, რაც გამორიცხავს ს.მ. ტექნიკის მრავალმარკიანობას, სიჭრელეს, ასევე გამორიცხავს მათი მომსახურების სირთულეს. ტექნიკის რაციონალური შემოტანა განაპირობებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ მზარდ განვითარებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი: ო. ბედია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი: ე. შაფაქიძე

# არასაპარლამენტო პარტიები კოალიციას ქმნიან







## ვინ იქნება ახალი მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატების საერთო კანდიდატი

ეკა სეხნიაშვილი

**ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დიდი მისვლა-მოსვლაა. პარტიული სუბიექტები კოალიციისა და საერთო საპრეზიდენტო კანდიდატის ირგვლივ „ვაჭრობენ“. პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამას კონსულტაციების რეჟიმს უწოდებს. ვინ ვისთან და ვის ირგვლივ გაერთიანდება? — ამის გასარკვევად, „ვერსია“ პოლიტიკურ სუბიექტებს ესაუბრა. გავარკვიეთ, რომ სხვადასხვა ძალები საპრეზიდენტო კანდიდატებს კიდევ დააყენებენ და ახალ პოლიტიკურ გაერთიანებასაც მალე ვიხილავთ.**

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, როგორც ჩანს, სახელისუფლებო კოალიციაზე ნაწყენია. **„ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, ხელისუფლება ერთ-ერთ პარტიასთან გაერთიანებას რომ ჩაგიშლის“**, — ამბობს ბაღათურია, რომელიც ჯერჯერობით, იმ მესამე ძალაზე არ საუბრობს, რომელთან ერთადაც, მალე ახალ კოალიციას შექმნის და ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს მხარს დაუჭერს. ჩვენს კითხვას, ეს კანდიდატი უკვე წარმოდგენილ პიროვნებათა შორის არის თუ არა, ბაღათურია დუმილით პასუხობს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ერთ-ერთი წარმოდგენილთაგანია: გიორგი მარგველაშვილი გამორიცხულია, სალომე ზურაბიშვილს შანსები აქვს. უკვე გარკვეულია, რომ ბაღათურიას გვერდით „თავისუფალი საქართველო“ და მისი ლიდერი კახა კუკავა დადგებიან. ვინ იქნება მესამე პარტია? ამას ბაღათურია ჯერ არ აკონკრეტებს, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, ეს ბურჯანაძის „დემოკრატიული საქართველოც“ შესაძლოა იყოს და სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზაც“.

მესამე პარტიაა აკაკი ასათიანის „ტრადიციონალისტები“. მასთან კავშირს, ჩვენთან საუბრისას, „ქართული დასის“ ლიდერი კატეგორიულად უარყოფს, სამაგიეროდ, ბაღათურიასთვის მისაღებია ლევან ვასაძე. ის, რომ ლევან ვასაძე მარგველაშვილის ნათელმირონია, სულაც არ ნიშნავს საბოლოო ვერდიქტს. ვასაძე, რომელიც საპატრიარქოს სუფრების ხშირი თამადა და მთავარი დონორია (სწორედ იგი აფინანსებდა საბანკეტო წვეულებას საპატრიარქოს ღონისძიებებზე), ჯერ კიდევ ფიქრობს — თუ კანდიდატურას არ დააყენებს, შესაძლოა, საზოგადოებრივი მოძრაობა შექმნას. იგი რუსული პოლიტიკური წრეებისთვისაც მისაღებია, რაც ერთგვარ კარტ-ბლანშს წარმოადგენს პოლიტიკაში. ვასაძეს აქვს საპატრიარქოს სრული მხარდაჭერა, რაც ავტომატურად, ნიშნავს მრევლის მხარდაჭერასაც. ვასაძის იდეები მისაღებია ბაღათურიასთვის: **„პრაქტიკულად, ჩემი და ვასაძის იდეები თუ პოლიტიკური შეხედულებები ემთხვევა. ჯერჯერობით, მას პოლიტიკურ ძალაზე საუბარი არ ჰქონია. თუ რაიმეს გადაწყვეტს, მივესალმები და პატივისცემას გამოვხატავ მის მიმართ“.**

**რატომ გამორიცხავს ასე კატეგორიულად „ქართული დასის“ ლიდერი აკაკი ასათიანთან პოლიტკავშირს, უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ის ახალ მემარჯვენეებსა და ქრისტიან-დემოკრატებს ებაასებოდა. ასათიანი რას იზამს, დრო გვიჩვენებს.**

საერთოდ ჩაიძირა ვალერი ხაბურძანიას მესამე ძალის მოდელი. ვერ გეტყვით, უშიშროების ყოფილი მინისტრის მდგომარეობა მოსალოდნელი ქარიშხლის წინ მყუდროებას ჰგავს თუ ჯერ რუსულ პოლიტიკურ წრეებში ვითარებას აკვირდებიან, მაგრამ ფაქტია, ხაბურძანია დუმს. თუმცა „ვერსიამ“ მოიპოვა ინფორმაცია, რომ ვალერი ხაბურძანია კონსულტაციებს აწარმოებს მინდია გულუასა და მის პარტიასთან, პარალელურად კი, რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველი ბიზნესმენების იმედი აქვს, რომელთა რიცხვში მიხეილ ხუბუტია და ლევან ვასაძეც შედიან.

ხუბუტია ივანიშვილზე ნაწყენია. მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, მან ივანიშვილს პირადი წერილი გაუგზავნა, სადაც წერს, რომ უკმაყოფილოა მთავრობის გარკვეული ქმედებებით და საქართველოს დახმარება სურს. გამორიცხული არაა, ეს დახმარება პოლიტიკური ფინანსებიც იყოს. ვისში რამდენს ჩადებენ ბიზნესმენები, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**სამაგიეროდ, ქრისტიან-დემოკრატები „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობენ, რომ აქვთ არასაპარლამენტო პარტიებთან კონსულტაციები. მოლაპარაკებების მიზანია, შეთანხმდნენ ზეპარტიულ საპრეზიდენტო კანდიდატზე. ეს პარტიებია „თავისუფალი საქართველო“, „ქართული დასი“, „ტრადიციონალისტები“ და „მემარჯვენეები“. „ვერსიის“ ინფორმაციით, ქრისტიან-დემოკრატები საპრეზიდენტო კანდიდატად პარტიულ ლიდერს, ერთ დროს მათ მერობის კანდიდატს, ნავთობკორპორაციის ყოფილ შეფს, გიორგი ჭანტურიას სთავაზობდნენ, მაგრამ კუკავას კანდიდატი არ მოეწონა.**

ისე, უცნაურია, რა უნდა ჰქონდეთ საერთო მკვეთრად მემარჯვენე-ქრისტიანულ თარგამაძესა და პრორუსულ პოლიტიკურ ძალად ცნობილ, მემარცხენე ორიენტაციის კუკავას? „ვერსიას“ ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე უცხადებს, რომ კონსულტაციები ჯერ არ დასრულებულა. არაეფექტური კანდიდატის — მარგველაშვილის შემხედვარე, თუ ისინი სხვა პარტიებთან აპოლიტიკურ კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდებიან, საპრეზიდენტოდ კენჭს გიორგი თარგამაძე იყრის: **„ჩვენ ნამდვილად ვაწარმოებთ კონსულტაციებს რამდენიმე პარტიასთან, მათ შორის, ვადასტურებ, კახა კუკავასა და „მემარჯვენეებთან“, თუმცა ვერ შევჯერდით არაპარტიულ კანდიდატურაზე. ზოგიერთმა კანდიდატურამ თვითონ თქვა უარი, ზოგიერთზე ვერ შევთანხმდით... ვეძებთ არაპარტიულ, გამოკვეთილ ლიდერს, რომელიც მისაღები იქნება ამ პარტიებისთვის. ცოტა დრო გვაქვს. ასე რომ, ერთი თვის ვადაში გაირკვევა ყველაფერი. მარგველაშვილი იმდენად სუსტი კანდიდატურაა, მას ივანიშვილის მომხრეებიდან უჭირს 40 პროცენტზე მეტი მხარდაჭერის მოპოვება. შესაბამისად, არაა გამორიცხული, მეორე ტური ჩატარდეს, მით უმეტეს, ნინო ბურჯანაძის, სალომე ზურაბიშვილისა და სხვა მნიშვნელოვანი კანდიდატურების ფონზე. ბურჯანაძეს მაღალი შანსი აქვს. სავარაუდოდ, ნაციონალების კანდიდატი ციხიდან ვანო მერაბიშვილი იქნება. მათ ისედაც იციან, რომ წააგებენ, თუმცა პატიმარი კანდიდატურის დაყენებით ეცდებიან, საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებას იმიჯი შეულახონ. კონსულტაციები ჯერ არ დაგვისრულებია. იმ შემთხვევაში, თუ ვერ შევთანხმდებით საერთო კანდიდატზე, ჩვენი პარტია დააყენებს გიორგი თარგამაძის კანდიდატურას“.**

**სად არიან „გრეჩიხები“, გოგა ხაინდრავა და ე.წ. ჯიგრული სეგმენტის წარმომადგენლები? ვის დაუჭერენ ისინი მხარს? მით უმეტეს, ლევან გაჩეჩილაძემ 2008 წელს სერიოზული კონკურენცია გაუწია სააკაშვილს და ახლაც არსებობს ვერსია, რომ კანდიდატურის დაყენებას აპირებდა. „ვერსია“ კომენტარისთვის „უცნობს“ დაუკავშირდა: „ჩემი ძმა არ აპირებს კანდიდატურის დაყენებას, ასე გადავწყვიტეთ. ჩემი მეგობარია გიორგი მარგველაშვილი და მხარს მას დავუჭერთ“.**



## თბილისის აეროპორტში ლიტველი ბიზნესმენი დააკავეს

ხუთშაბათს, 30 მაისს, გამთენიისას, თბილისის აეროპორტში ლიტველი ბიზნესმენი, საულუს ვაიტკიავიჩუსი დააკავეს. ბიზნესმენი საქართველოში, ერთ-ერთი უდიდესი სუპერმარკეტების ქსელის „პოპულის“ (ლოლი სუპერმარკეტი) მფლობელი იყო. ეს ინფორმაცია ლიტვურ მედიაგამოცემებს ბიზნესმენის მეუღლემ, ვაივა ვაიტკიავიჩენემ დაუდასტურა.

**„არანაირი ბრალი არ წაუყენებიათ. ფორმულირება მარტივია: მან უნდა მოიფიქროს, როგორ და რა გზებით იყო დაკავშირებული წინა ხელისუფლებასთან“**, — აღნიშნა ბიზნესმენის მეუღლემ.

მისივე თქმით, ადვოკატები ესაუბრნენ პროკურორებს, რომლებმაც თქვეს, რომ თითქოს ლიტველი ბიზნესმენი ვიღაცებს ქრთამს აძლევდა. ბიზნესმენის მეუღლემ ისიც აღნიშნა, თითქოს დაკავებული დაკავშირებული იყო დარიუს იურგილიავიჩუსთან, რომელიც ტელეკომპანია „პიკის“ მფლობელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მრჩეველი იყო.

ბიზნესმენი საულუს ვაიტკიავიჩუსი, ბალტიის ქვეყნების სავაჭრო პალატის საბჭოს თავმჯდომარეა.

ამასთან დაკავშირებით, „პოპულის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2012 წლის დეკემბრიდან, საულუს ვაიტკიავიჩუსს „პოპულსა“ და „იოლთან“ არავითარი კავშირი აღარ აქვს. კომპანია გაიყიდა და ამჟამად, „პოპულსა“ და „იოლს“ მართავს ევროპის უმსხვილესი საფინანსო საინვესტიციო ფონდი SEAF (Small enterprise assistance found).

დაკავებული ლიტველი ბიზნესმენის მეუღლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ოფიციალურად უარყოფენ საქართველოს მთავარ პროკურატურაშიც. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და პროკურატურა დეტალებს მოგვიანებით გაამჟღავნებს. რაც შეეხება ლიტვის საელჩოს, ინფორმაცია ბიზნესმენის დაკავების შესახებ, მისი მეუღლისგან შეიტყვეს, თუმცა საელჩოს თანამშრომლები გამოძიების პროცესს დააკვირდებიან.

***„ვერსიანიუსი“***



## ნოდარ ხადურის მოადგილემ თანამდებობა დატოვა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, დავით ებრალიძემ თანამდებობა დატოვა. განცხადება კი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განათავსა:

„ფინანსთა მინისტრის მოადგილეობას, პირველ რიგში, სწორედ იმიტომ დავთანხმდი, რომ დავების საბჭოს ახალი პრინციპების რეფორმირება მომეხდინა. რამდენადაც სამინისტრომ საბოლოოდ არ მიიღო აღნიშნული პრინციპები, ჩემი თანამდებობაზე დარჩენა, თანამდებობრივი კეთილდღეობის გახანგრძლივება იქნება მხოლოდ, რაზეც უარს ვამბობ. გადადგომაზე განცხადება დავწერე“.

ფინანსთა სამინისტროში ამ ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა დავით ებრალიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ მინისტრი ნოდარ ხადური, მის განცხადებას არ აკმაყოფილებს. მისი თქმით, განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, უკვე ფინანსთა მინისტრის კაბინეტშია.

***„ინტერპრესნიუსი“***



# პატრიარქის კურთხევით, წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღება მალე დაიწყება

## 2-წლიანი კასტინგის შემდეგ, 4000-მდე მსურველიდან, ნინოს როლზე არამსახიობი ქართველი გოგონა — ნიცა შეირჩა

ნათია ვასაძე
555-98-61-65

**ამერიკაში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი გია კერესელიძე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ნინოს ცხოვრებაზე ფილმს იღებს, სავარაუდო სახელწოდებით — „ნინო“. რეჟისორისთვის მხატვრულ ფილმზე მუშაობა დებიუტია — აქამდე მას მხოლოდ ანიმაციური ფილმები აქვს შექმნილი. მისი ერთ-ერთი ანიმაციური ფილმი „ჰოუფი“, 2007 წელს კანის კინოფესტივალზეც წარადგინეს. ის ვაშინგტონის კინოფესტივალისა და „ანდრია პირველწოდებულის ჯვრის“ ფესტივალის გამარჯვებულია. რამდენიმე დღის წინ, „ქართული დიასპორის დღეებში“ მონაწილეობის მისაღებად, ემიგრანტი რეჟისორი თბილისს ეწვია. ეს ინტერვიუც კინოთეატრ „ამირანში“, სწორედ დიასპორისადმი მიძღვნილი ფილმების ჩვენებაზე ჩავწერეთ, სადაც გია კერესელიძემ ანიმაციური ფილმი „ჰოუფი“ წარმოადგინა.**

— 23 წელია, ამერიკაში ვმოღვაწეობ. 90-იან წლებში ფლორიდაში ჩავედი კინოფესტივალზე... დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ საქართველოში სწორედ მაშინ დაიწყო არეულობა და სამშობლოში ველარ დავბრუნდი. უცხო ქვეყანაში ადგილის დამკვიდრება გამიჭირდა. ყველაფერი ნულიდან დავიწყე, მაგრამ გამიმართლა — ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ გამოცემაში საკმაოდ სერიოზულ პოზიციაზე დავიწყე მუშაობა. 10 წელი ვიმუშავე, მაგრამ კინოზე ფიქრი არ შემიწყვეტია, თანაც ჩემში ეს ღმერთისგანაა მომადლებული — მამაჩემიც რეჟისორი იყო, ბაბუაც... მსახიობი ლია ელიავა კი მამიდაჩემი გახლდათ... არაერთი ანიმაციური ფილმი მაქვს გადაღებული. ერთ-ერთი მათგანია „ჰოუფი“. ეს ფილმი ისეთ გლობალურ პრობლემაზეა, ყველა ეროვნების ადამიანს რომ აწუხებს — როგორ არ უნდა დავკარგოთ ტრადიცია და ფესვები.

**— რატომ გადაწყვიტეთ, ბედი მხატვრულ კინოში გეცადათ?**

— წმინდა ნინოზე ფილმის გადაღება ანიმაციაში მქონდა გადაწყვეტილი. როცა წმინდანის ისტორია წავიკითხე და დეტალებს ჩავუღრმავდი, მივხვდი, მხატვრული ფილმი უნდა გადამეღო. პირველი საჩვენებელი კადრები ამერიკაში გავაკეთე. მთავარ როლს იტალიელი გოგონა ასრულებდა, მაგრამ არ იყო ის, ვინც ამ როლზე მჭირდებოდა. ფილმის თემა იმდენად ფაქიზია, აჩქარება არ ივარგებდა. თანაც, პატრიარქის კურთხევაც მჭირდებოდა — ამის გარეშე ფილმის გადაღებას ვერ გავბედავდი. უწმინდესმა კურთხევა 2010 წელს მომცა. ოღონდ მთხოვა, წმინდა ნინოს როლი პროფესიით მსახიობმა არ შეასრულოსო. ამაში პატრიარქს ვეთანხმები, რადგან პროფესიით მსახიობს, შეიძლება, ამ როლის შემდეგ, მეძავის როლის შესრულება მოუწიოს, ფილმში კი შეიქმნება წმინდანის სახე, რომელსაც მაყურებელი ხატთან გააიგივებს.

**— როგორც ვიცი, ასეთი სახის პოვნა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა თქვენთვის...**

— მას შემდეგ, რაც უწმინდესის კურთხევა მივიღე, ამერიკაში დავბრუნდი. ერთი წელი სცენარს ვწერდი, მერე დავიწყე მთავარი როლის შემსრულებლის ძებნა. გამოვაცხადე კასტინგი და



2 წლის განმავლობაში, 3 600 გოგონადან, ვერავინ შევარჩიეთ. გამუდმებით ვლოცულობდი, შესაფერისი კადრი მეპოვნა და მოხდა სასწაული — 16 წლის ნიცა კაპანაძე აღმოვაჩინე. მას შთამბეჭდავი სახე აქვს.

ძალიან ნიჭიერი გოგონაა, მასთან მუშაობა რთული არაა და უკეთესია მსახიობი რომ არ არის — მეტად ბუნებრივი იქნება.

**— ფილმზე მუშაობის პროცესი რა ეტაპზეა?**

— პრინციპში, უკვე მთელი ფილმია შექმნილი — მონტაჟურად დაყოფილია 2800 ჩანახატი, შეკერილია კოსტიუმები, შეთანხმებულები ვართ იმ ქვეყნებთან, სადაც გადაღებები უნდა ვაწარმოოთ... გადაღებები იქნება საქართველოში, იერუსალიმში, იტალიასა და სომხეთში, ბევრი ქვეყანა დაინტერესდა, რადგან მსოფლიოში მოთხოვნილებაა რელიგიური ხასიათის ფილმებზე. ერთ-ერთმა რუსულმა კინოკომპანიამაც გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი, იქაურმა საპატრიარქომაც გამოგვიცხადა მხარდაჭერა... მაგრამ მინდა, ეს ფილმი ისტორიაში ქართული ფილმის სახელით შევიდეს.

**— ამისთვის ხომ ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო...**

— ჩემი კომპანია ARTMANGIA PICTURES ამერიკაშია დაფუძნებული, მაგრამ ქართულ ფესვებზე დგას. დაფინანსებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები გვაქვს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან, დიასპორის სახელმწიფო მინისტრიც გვიდგას გვერდით, ახლახან კინოკომპანია „მილიმეტრმა“ შემოგვთავაზა თანამშრომლობა... სიამოვნებით მივიღებთ დაფინანსებას ნებისმიერი ბიზნესმენისგან. უწმინდესმა ბრძანა, ვინც თუნდაც მცირედით ხელს შეუწყობს ამ ფილმის გადაღებას, უფლის რჩეული იქნებაო.

**— ფილმში მხოლოდ ქართველი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას?**

— არა, უცხოელი მსახიობებიც ავიყვანე, თუმცა ვცდილობ, მეტი ქართველი იყოს. როლი თამრიკო გვერდწითელს შევთავაზე, მუსიკალურ გაფორმებაზეც მან უნდა იზრუნოს...

**— ნიცა აჩვენეთ პატრიარქს?**

— რა თქმა უნდა. უწმინდესმა მოიწონა გოგონა და კურთხევა მისცა. შემთხვევით არაფერი ხდება, ყველაფერი უფლის ნებაზეა დამოკიდებული. ყოველთვის ვგრძნობდი წმინდა ნინოს სიახლოვესა და მფარველობას. დაბრკოლებაც ბევრი შემხვდა, მაგრამ მათ გადალახვას უფლის წყალობით ვახერხებდი: ამერიკიდან საქართველოში მოვფრინავდი და პატრიარქისთვის, ვაშინგტონში დაბრძანებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის მირონი მომქონდა. თვითმფრინავი მწყობრიდან გამოვიდა, მგზავრები პანიკაში ჩაცვივდნენ... მხოლოდ მე ვიჯექი მშვიდად და ვლოცულობდი. ჩემს გვერდით ინდოელი ცოლ-ქმარი იჯდა, რომელმაც სიმშვიდის მიზეზი მკითხა. ჩემი ღმერთი ყოვლისშემძლეა და მის წინაშე ვლოცულობ, იესო თქვენც გადაგარჩენთ-მეთქი — ვუთხარი და შუბლზე მირონი ვაცხე. სასწაული მოხდა — სწორედ იმ დროს გამოაცხადა პილოტმა: დაჯდომა უნდა განვახორციელოთ იოანე ნათლისმცემლის კუნძულზე და ილოცეთო. იმ კუნძულზე ტრასაც კი არ იყო გათვალისწინებული დიდი ბოინგისთვის, მაგრამ, ღვთის წყალობით, უსაფრთხოდ დავეშვით. ასეთი ნიშანი უფლისგან მრავლად მივიღე. მაგალითად: ვერ გადამეწყვიტა, შემეტანა თუ არა სცენარში ის ეპიზოდები, სადაც წმინდა ნინოს უახლოესი მეგობრები — სალომე და პეროჟავრა არიან მოხსენიებულნი. დამირეკა ჩემმა მოძღვარმა, ქაშუეთის წინამძღოლმა, მამა მიქაელმა: წირვას ვატარებდი და უცებ ვიგრძენი, შენთან უნდა დამერეკა და სასწრაფოდ მეთქვა — სცენარში სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი აუცილებლად შეიტანეო. მამა მიქაელის პირით, თითქოს წმინდა ნინო მელაპარაკებოდა.

**— ეკლესიურად ცხოვრობთ?**

— ქაშუეთის ეკლესიის სტიქაროსანი ვარ, ჩემი ყოველი დღე ლოცვით იწყება და მთავრდება. უფალს გამუდმებით შევთხოვ დასახულ მიზნამდე მისასვლელ ძალას. წმინდა ნინოზე ფილმის გადაღება იგივეა, რაც ხატის დაწერა. ეს ჩემი ჯვარია, რომელიც ბოლომდე ღირსეულად უნდა ვზიდო. უწმინდესმაც ბევრი კარგი რამ იწინასწარმეტყველა ამ ფილმთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაფერს ვერ გავამხელ.

**— საქართველოში დაბრუნებას აპირებთ?**

— დაბრუნების სურვილი მაქვს. თუ დავბრუნდები, აუცილებლად — ქართულ კინოში... სწორედ წმინდა ნინოს შესახებ გადაღებული ფილმით უნდა დაიწყოს ქართული კინოს აღორძინება. ეს იქნება ეპიკური დრამა, რომელიც სერიოზულ სიტყვას იტყვის ქართულ კინემატოგრაფიაში. ფილმი რელიგიური და ემოციური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იქნება — გპირდებით, მისი ნახვის შემდეგ არავინ დარჩება გულგრილი. ადამიანებს გაუჩნდებათ სურვილი, წავიდნენ ეკლესიაში და ილოცონ.

# „მაგთიკომი“ ბატონი ემზარ ჯგერენაიას ცილისწამებას პასუხობს

პრესაში „მაგთიკომის“ მისამართით ბატონი ემზარ ჯგერენაიას ცილისწამება ინტერნეტისა და ინტერნეტროუმინგის მოხმარებას უკავშირდება.

უნებლიედ თუ შეგნებულად, მან ისარგებლა ინტერნეტით და ინტერნეტროუმინგით. შესაბამისად, დაუგენერირდა დავალიანება, რომლის ნამდვილობასაც ის უარყოფს და მის წარმოქმნაში „მაგთიკომს“ ადანაშაულებს.

მაგთიკომის მისამართით გამოთქმული ცილისმწამებლური განცხადებები კრილოვის ცნობილი იგავის Мартышка и Очки სიუჟეტს გვახსენებს. რაც უნდა სასარგებლო იყოს ნივთი, თუ მისი დანიშნულება და გამოყენება არ იცი, შეუძლებელია დააფასო ის. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება ყოველგვარ აზრს კარგავს.

სმარტფონის მფლობელებმა კარგად იციან, რომ ახალი თაობის ტელეფონები ავტომატურად ახორციელებენ ინფორმაციის განახლებას აპარატში. ტელეფონი თავად უკავშირდება ინტერნეტს და ტვირთავს გარკვეულ ინფორმაციას. ტელეფონის მფლობელმა მინიმუმ უნდა დაუშვას, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, თუ იცის იმ აპარატის ფუნქციები და შესაძლებლობები, რომლითაც სარგებლობს.

იმისათვის, რომ აბონენტმა თავიდან აიცილოს ინტერნეტის მოხმარებით გამოწვეული არასასურველი დავალიანება, აპარატში ფუნქცია cellular data Off-ზე უნდა დააყენოს. ინტერნეტროუმინგის შემთხვევაში კი Data Roaming გათიშოს (დააყენოს off-ზე) მაშინ, როცა არ სურს სერვისით სარგებლობა.

ბუნებრივია, გაუთვალისწინებელი დავალიანება სასიამოვნო არ იქნებოდა, მაგრამ ბატონმა ემზარმა „მაგთიკომზე“ პირადი ანგარიშსწორება საზოგადოების დეზინფორმირებით გადაწყვიტა.

სიტყვა „ექსპერტი“ გულისხმობს პიროვნებას, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც გარკვეულ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მქონე სანდო წყარო, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებისა და კონკრეტული ინდუსტრიის შესაბამის წრეებში. ბუნებრივია, სტატუსი „ექსპერტი“ არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ დარგში იყო პროფესიონალი, თუმცა კონკრეტულად კუთვნილი სფეროს განხილვის დროსაც კი უხერხულია, საზოგადოებაზე ზრუნვად წარმოაჩინო პირადი წყენით მოტივირებული ანგარიშსწორება და საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდო.

ჯგერენაიას განცხადებების სათავე მხოლოდ და მხოლოდ საკითხში მისივე გაურკვევლობაა და არ შეიძლება განზოგადდეს მთელ საზოგადოებაზე, რომლის დიდი ნაწილიც საკმაოდ პროგრესულია იმისთვის, რომ გაარჩიოს, როდის სარგებლობს მობილური ინტერნეტით და როდის არა, გაერკვეს ახლადშეძენილი ტელეფონის აპარატის ფუნქციებში და შესაძლებლობებში.

„მაგთიკომი“ ინტერნეტმომხმარებელს ფართო არჩევანს სთავაზობს და საშუალებას აძლევს, სამი მობილური ბრენდიდან თავისი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით აირჩიოს ინტერნეტპაკეტები, შეღავათიანი პირობებით.

# „თბილისი მოლში“ „სმაილის“ გრანდიოზული მაღაზია „წარმოუდგენელი ფასებით“ გაიხსნა




5 ივნისამდე, მაღაზიაში, LCD ტელევიზორები 299 ლარად, გაზქურები და სარეცხი მანქანები 399 ლარად, ორკამერიანი მაცივრები 499 ლარად გაიყიდება!

31 მაისს, „თბილისი მოლში“, 4000 კვადრატულ მეტრზე, „სმაილის“ უზარმაზარი მაღაზია გაიხსნა, რომელიც მომხმარებელს „წარმოუდგენელ ფასებს“ სთავაზობს. „სმაილის“ მენეჯმენტმა და საქართველოში სპეციალურად ამ დღისთვის იაპონიიდან ჩამოსულმა „პანასონიკის“ წარმომადგენელმა კოჯი ტერაჯიმამ, „სმაილისფერი“ ლენტი ერთად გაჭრეს და მაღაზია საზეიმოდ გახსნეს. „სმაილმა“ გახსნისთანავე მიიპყრო მომხმარებლის ყურადღება — წამებში იქაურობა ხალხით გაივსო. „თბილისი მოლში“ „საშოპინგოდ“ მისული ადამიანები ტკბებოდნენ ღია დახლებზე წარმოდგენილი პროდუქციის დათვალიერებით და მართლაც წარმოუდგენლად ხელმისაწვდომი ფასებით. რამდენიმე მათგანმა, საოჯახო ტექნიკისა თუ მობილურის შეძენა უკვე გადაწყვიტა. მათ, ვინც შენაძენი მაღაზიის გახსნის დღეს გააკეთა, საჩუქრად საყოფაცხოვრებო ტექნიკაც გადასცეს.

ეს ერთადერთი აქცია არაა, რომელიც „სმაილის“ წარმომადგენლებმა მომხმარებელს შესთავაზეს. **„მაღაზიის გახსნიდან 5 დღის განმავლობაში, რამდენიმე ყველაზე გაყიდვად მოდელს უპრეცედენტო ფასად წარმოვადგენთ. მხოლოდ „თბილისი მოლის“ მაღაზიაში 5 ივნისამდე აქცია სახელწოდებით „წარმოუდგენელი ფასები“ გაიმართება, რომლის ფარგლებშიც LCD ტელევიზორები 299 ლარად, გაზქურები და სარეცხი მანქანები 399-ად, ხოლო ორკამერიანი მაცივრები 499 ლარად გაიყიდება. ფასდაკლებები გავრცელდება სხვა პროდუქტებზეც“,** — განმარტა კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ტარიელ მაჭავარიანმა და „სმაილის“ მაღაზიათა ქსელის გაფართოების ტენდენციაზეც ისაუბრა. როგორც ირკვევა, იხსნება კიდევ ორი ობიექტი რუსთავსა და ბათუმში. ორივე მათგანში იმოქმედებს სპეციალური აქციები — „სმაილი“ ტრადიციას ამჯერადაც არ უღალატებს და მომხმარებელს სიურპრიზებით გაანებივრებს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ახალი ობიექტების კონცეფცია სრულიად განსხვავებული მოდელითაა შექმნილი და არ ჰგავს „სმაილის“ ან ტექნიკის ბაზარზე არსებული სხვა კომპანიების მაღაზიებს. განსხვავებაში იგულისხმება დიზაინი, პროდუქტის განლაგება და ინტერიერი, რომელიც მომხმარებლისთვის მაქსიმალურად კომფორტულად მოეწყო, რათა ყიდვის პროცესი გაცილებით მარტივი და სასიამოვნო გამხდარიყო. **„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკის ბაზარზე „პიონერები“ ვართ — მსგავსი მოცულობის ობიექტი ერთდროულად არასოდეს გახსნილა. ეს არის მარკეტის ტიპის სავაჭრო ცენტრები, რომელშიც ღია სალაროა, ღია დახლებზე გვაქვს წარმოდგენილი მობილური ტელეფონები, ფოტო-ვიდეოაპარატურა, კომპიუტერები და პირადი მოხმარების ტექნიკა. მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი ყველასთვის ხელშესახები გახდა და ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სასურველი ტექნიკა თავად შეამოწმოს“,** — განაცხადა ტარიელ მაჭავარიანმა და ისიც განგვიმარტა, რომ „თბილისი მოლში“ 4000 კვადრატულ მეტრზე განთავსებულ მაღაზიაში, კომპანიამ 50-ზე მეტი ახალი კადრი დაასაქმა.

როგორც მოგახსენეთ, „სმაილის“ მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოში იაპონიიდან სპეციალურად ჩამოვიდა „პანასონიკის“ წარმომადგენელი კოჯი ტერაჯიმა. მან „სმაილის“ ხელმძღვანელებს დიდი მადლობა გადაუხადა პარტნიორობისთვის და ამ კომპანიასთან მრავალწლიანი ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა: **„პანასონიკს“ „სმაილთან“ ისტორიული პარტნიორობა აკავშირებს, რომელიც სათავეს 1996 წლიდან იღებს. რომ არა „სმაილი“, „პანასონიკი“ საქართველოში ნაკლებად ცნობილი ბრენდი იქნებოდა. დიდ მადლობას ვუხდი კომპანიის ხელმძღვანელებს ამ თანამშრომლობისთვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი მაღალი დონის ტექნიკის მაღაზია, როგორიც „სმაილია“, მთელ კავკასიაში არ მინახავს“.**

„სმაილის“ გახსნის დღეს კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლის შესახებ შევიტყვეთ — პარტნიორ ბანკებთან ერთად, კომპანია მთელ ქსელში ექსკლუზიურ აქციას იწყებს. ტარიელ მაჭავარიანის განმარტებით: **„მხოლოდ ივნისში მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ უპრეცედენტო შეთავაზებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა 3-წლიანი უპროცენტო განვადებით. აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და მხოლოდ „სმაილის“ მაღაზიათა ქსელში იმართება. მომხმარებლებისთვის ეს მართლაც უნიკალური შესაძლებლობაა, მთელი სახლი სასურველი ტექნიკით მოაწყონ და შეიქმნან საოცნებო კომფორტი — თვეში მინიმალური შენატანით“.**

**„სმაილის“** საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის, აუდიო-ვიდეო, ასევე კომპიუტერული ტექნიკისა და მობილურების საცალო ვაჭრობა. კომპანია ისეთი ცნობილი ბრენდების ოფიციალური დისტრიბუტორია, როგორიცაა: Samsung, Panasonic, Indesit, Hotpoint-Ariston. ამ დროისთვის, საქართველოს მასშტაბით „სმაილი“ უკვე 13 მაღაზიას აერთიანებს. მათ შორისაა, „თბილისი მოლში“, მესამე სართულზე გახსნილი ახალი მაღაზიაც, სადაც ასევე დაგხვდებათ საუკეთესო ფასები, ფართო და მუდმივად განახლებული ასორტიმენტი, მომსახურების მაღალი დონე... ანუ ყველაფერი ის, რაც მომხმარებელს კომფორტს უქმნის და სიამოვნების „სმაილს“ ჰგვრის.

***ნინო ლურსმანაშვილი***

# „კაიზერი“ — ცოცხალი ბავარიული ლეგენდა

კომპანია „ნატახტარმა“ ახალი ლუდის, ხორბლის გაუფილტრავი „კაიზერის“ წარმოება დაიწყო, რომელიც ლუდის სხვა სახეობებისგან განსაკუთრებული არომატით გამოირჩევა. ქართველი მომხმარებლისთვის, უკვე საქართველოში, ექსკლუზიური ლიცენზიითა და გერმანული ტრადიციების გათვალისწინებით ჩამოასხამენ.

კომპანიამ ახალი ლუდის პრეზენტაცია რესტორან „ბიერ გარდენში“ გამართა და ხორბლის გაუფილტრავი „კაიზერის“ დეგუსტაციაც მოაწყო. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში, ხორბლის გაუფილტრავი ლუდის მასობრივი წარმოება იწყება.






**„ხორბლის გაუფილტრავ ლუდ „კაიზერს“, ძირითადად, ბავარიაში აწარმოებენ და საკმაოდ რთული წარმოების პროცესით ხასიათდება. ამ მიზეზის გათვალისწინებით, ლუდის მწარმოებელი კომპანიები ერიდებიან მის წარმოებას, მაგრამ ჩვენ ეს გავბედეთ და საკმაოდ წარმატებულადაც. შედეგად, უმაღლესი ხარისხის, უგემრიელესი პროდუქტი მივიღეთ“,** — მიღწეულ წარმატებაზე საუბრობს კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკური დირექტორი გიორგი ქოქიაშვილი.

**„საქართველოში, ხორბლის გაუფილტრავ ლუდს პირველად აწარმოებენ. ეს არის ლუდი, რომლის გემო და არომატი არასოდეს დაგავიწყდებათ“,** — მიაჩნია კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორს, თორნიკე ნიკოლაიშვილს.

გერმანული ლუდის ცნობილი ბრენდის — „კაიზერის“ ჩამოსხმის ოფიციალური უფლება, კომპანია „კაიზერ ბრაუსის“ ისტორიაში, საქართველომ, უფრო კონკრეტულად კი, კომპანია „ნატახტარმა“ მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ „კაიზერის“ ბოთლზე უკვე დატანილია წარწერა — Made in Georgia.

ლუდსახარში „ნატახტარი“ და გერმანული კომპანია შეთანხმდნენ და ქართულმა კომპანიამ, ლიცენზირებული „კაიზერის“ ჩამოსხმა საქართველოში, გასული წლის აგვისტოდან აქტიურად დაიწყო.

# მაია მიმინოშვილი: „ეროვნული გამოცდები აღარ გაუქმდება!“



## წელს, აბიტურიენტებს, ფაკულტეტებისა და სასწავლებლების არჩევის საშუალება გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგაც ექნებათ და ყველა ფაკულტეტზე დაფინანსების ერთნაირი პრინციპი იმოქმედებს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**სულ რაღაც ერთ თვეში, ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყება. გამოცდების ეროვნული ცენტრი სტუდენტებისა და მაგისტრობის მსურველი აბიტურიენტებისთვის სიახლეებს გეგმავს. კონკრეტულ სიახლეებზე „ვერსიას“ „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორი მაია მიმინოშვილი ესაუბრა.**

— წელს 42 000-მდე აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია და ეს ძალიან დიდი რიცხვია — ამ რაოდენობის აბიტურიენტი არასოდეს გვყოლია. თავიდან გვეგონა, რომ აბიტურიენტთა რაოდენობა ექსტერნებმა გაზარდა, მაგრამ როცა ბაზაში სტატუსებს გადავხედეთ, დავრწმუნდით, რომ შარშანდელისგან ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება.

**— თუ ასეა, აბიტურიენტთა რაოდენობის ასეთ ზრდას რით ახსნით?**

— მიზეზი მაინც მთავრობის ინიციატივა მგონია, რომლის თანახმად, საბაკალავრო პროგრამების 17 მიმართულებაზე სახელმწიფო სწავლის საფასურს სრულად ფარავს — აბიტურიენტი თუ ჩაირიცხება ამ 17 მიმართულებიდან რომელიმეზე, შედეგების მიუხედავად, სახელმწიფოს ხარჯზე ისწავლის. ვვარაუდობ, რომ ბევრმა სტუდენტმა მოინდომა, ხელახლა სცადოს ბედი.

**— 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რა ცვლილებები იქნება?**

— გამოცდები 27 ივნისს დაიწყება და 17 ივლისს დასრულდება. წელს შინაარსობრივ ნაწილში არანაირ სიურპრიზს არ უნდა ელოდონ — გამოცდებამდე არ იყო საკმაო დრო, რათა სერიოზული სიახლე შეგვეთავაზებინა, სამაგიეროდ, შეიცვალა დაფინანსების წესი.

**ყველა მიმართულებაზე დაფინანსების ერთნაირი პრინციპი იმოქმედებს. აქამდე იყო ფაკულტეტები, სადაც აბიტურიენტი დაფინანსებას მიიღებდა, თუ 100%-იან გრანტს მოიპოვებდა, ახლა კი, ყველა მიმართულებაზე იქნება თანადაფინანსების პრინციპი: 50, 70, 100%-იანი და მიმართულებების მიხედვით, განსაკუთრებული ბარიერები აღარ იარსებებს. უსამართლობა იყო მაგალითად ის, რომ სამართალმცოდნეობასა და ჯანდაცვაზე ხელოვნურად იყო ბარიერი აწეული... ჩვენგან დაწესებული ბარიერი ყველგან ერთნაირი იქნება.**

გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებლებსაც აქვთ შესაძლებლობა, თავად დააწესონ ბარიერი, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა მიმართულებაზე საკმაოდ მაღალია, მაგრამ იქ კონკურსიც არის. ამ შეთავაზებით სამედიცინო უნივერსიტეტმაც ისარგებლა.

**სიახლეა ისიც, რომ ახლებური რეგისტრაცია შევთავაზეთ და პროცესი კვლავ მიმდინარეობს, კერძოდ — აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა, ეროვნული გამოცდების შედეგების შემდეგ აირჩიოს, რომელ უმაღლეს სასწავლებელში, რომელ ფაკულტეტზე სურს სწავლის გაგრძელება. წელს ისინი ჩამონათვალის გაკეთებაში შეზღუდულები არ არიან; ამასთან, ვინც უკვე მიუთითა ფაკულტეტი, აქვს უფლება, შეცვალოს და საბოლოო არჩევანი მოგვიანებით, შედეგების გამოცხადების შემდეგ გააკეთოს.**

**— ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?**

— ადრე გვქონდა მეორადი ჩარიცხვები იმ აბიტურიენტებისთვის, რომელთაც არ გაუმართლა და მათ ვაკანტურ ადგილებზე ვრიცხავდით. გვსურდა, ახალგაზრდებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დავხმარებოდით, ხოლო როცა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ეცოდინებათ, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. არიან ისეთი აბიტურიენტებიც, რომელთაც საკუთარი თავის იმედი არ აქვთ, მაგრამ გამოცდებზე კარგ შედეგებს აჩვენებენ და აქვთ დიდი შანსი, სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხონ.

**— ბრძანეთ, რომ ბარიერი ხელოვნურად იყო აწეული. ეს რა მიზნით გაკეთდა?**

— სამინისტრო ამბობდა, სამართალმცოდნეობა და ჯანდაცვის მიმართულებები სახელმწიფო რეგულირებადი პროფესიებია და მაღალი ბარიერი ამიტომაც არისო, მაგრამ ეს არგუმენტი უსუსურია — რეგულირებადი პროფესიაა პედაგოგიკაც და მაშინ იქაც მაღალი ბარიერი უნდა დაწესებულიყო.

**— აპელაციის ვადებში ხომ არ იქნება ცვლილება?**

— ტექნიკური აპელაციის ვადა გამოცდის დღესვე, 9 საათამდე იქნება. ხოლო შინაარსობრივი აპელაციის პროცესი, პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგ დაიწყება.

**— ცვლილებებია გრანტის გასაუმჯობესებელ კონკურსშიც, არა?**

— ამ კონკურსში, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობს და მათთვის წელს სპეციალური ტესტები მომზადდა. ეს არ იქნება ზოგადი უნარების ტესტი, რომელსაც აბიტურიენტები აბარებენ, ისინი მაგისტრობის მსურველთა ტესტებს ჰგავს.

**— რატომ გადაწყდა, რომ გრანტის გაუმჯობესების მსურველთათვის უფრო რთული ტესტები შეგეთავაზებინათ?**

— სრულიად უსამართლო იქნებოდა, სტუდენტებთან ის ტესტები გამოგვეყენებინა, რომლითაც აბიტურიენტებს ვცდით. ეს ტესტი გვაძლევს შესაძლებლობას ვიწინასწარმეტყველოთ, რამდენად წარმატებით შეძლებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდა. ისინი კი, ვისაც გრანტის გაუმჯობესება სურს, სტუდენტები არიან და მათ უკვე განვითარებული აქვთ აკადემიური უნარები.

**— სასკოლო გამოცდებზე პასუხისმგებელი ვინ არის?**

— წელს სკოლებში გამოცდებს ჩვენ არ ვატარებთ. არ გვქონდა საკუთარი სერვერი, პასუხისმგებლობას ვერ ავიღებდით და ამიტომ გადაწყდა, ის ბავშვები, ვინც წელს მე-11 კლასს ამთავრებს, ზაფხულის ნაცვლად, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის გამოცდას ოქტომბერში ჩააბარებენ. მეთორმეტე კლასის დამთავრების დროს კი, ჩააბარებენ ქართულის, უცხო ენის, ისტორიისა და მათემატიკის გამოცდებს.

**— იმ მოსწავლეებს, რომელთაც ოქტომბერში 4 გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, ჯერ პროგრამა არ აქვთ. როდის ეცოდინებათ, რა პროგრამით უნდა ჩააბარონ გამოცდები და აქამდე რატომ არ გადაწყდა ეს საკითხი?**

**— მთავრობის დადგენილებით, ასეთი პროცედურაა — გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს საგამოცდო პროგრამებს, რომელსაც დასამტკიცებლად განათლების სამინისტროს წარუდგენს. სამინისტრომ უნდა დაგვიდასტუროს, რომ საგამოცდო პროგრამაში არაფერია ისეთი, რაც სასწავლო გეგმის ფარგლებს სცდება. ჩვენ კარგა ხანია საგამოცდო პროგრამები განათლების სამინისტროში წარვადგინეთ დასამტკიცებლად, მათ დასტურს ველოდებით, იმედი მაქვს, უახლოეს ხანებში დაამტკიცებენ და პროგრამას სკოლებს მივცემთ.**

**— ბევრ მშობელს იმედი აქვს, რომ გაისად ეროვნული გამოცდები გაუქმდება და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა მხოლოდ საატესტატო გამოცდებზე მიღებული შედეგებით იქნება შესაძლებელი. ეს მართლაც მოსალოდნელია?**

— ასე არ იქნება. საატესტატო გამოცდა არჩევითპასუხიანი კითხვებით შემოიფარგლება და ასეთი ტესტებით აბიტურიენტების შერჩევა არ შეიძლება. წარმოუდგენელია, აბიტურიენტს წერის კულტურა არ შეუმოწმო!

**— პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე რამე სიახლე თუა და როგორც აანონსებდით, ზეპირ გამოცდას თუ დანიშნავთ?**

— პედაგოგთა სერტიფიცირების პროცესი სრულყოფილი არ არის და თუ ასე გაგრძელდა, ასეთი არასოდეს გახდება. უკვე დავიწყეთ სერტიფიცირების პროცესის ახალი მოდელის მომზადება. მნიშვნელოვანია იმის შეფასება, როგორია პედაგოგი პრაქტიკაში. შეიძლება მასწავლებელს თეორიული ცოდნა ჰქონდეს, შესაბამისი უნარებიც გააჩნდეს, მაგრამ მოსწავლეებთან მუშაობის დროს ვერ იყენებდეს. ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ ეს კომპონენტი დავამატოთ.

**— მაგისტრობის მსურველთათვის საგამოცდო ტესტებშიცაა ცვლილებები?**

**— დიახ, სიახლე აქაც გვაქვს. სამაგისტრო ტესტი 4 ნაწილისგან შედგება: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური და რაოდენობრივი მსჯელობა. ეს 4 ნაწილი შენარჩუნებულია, მაგრამ მიმართულების მიხედვით, სხვადასხვა ტიპის ტესტებსაც ვთავაზობთ, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჰუმანიტარული მიმართულების მაგისტრობის მსურველები ხშირად გვსაყვედურობდნენ, რატომ ვაბარებთ იგივე ტიპის ტესტებს, რასაც ფიზიკოსები და მათემატიკოსებიო.**

**— მაღალმთიანი რაიონების, აფხაზეთ-სამაჩაბლოსა და საინგილოში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის რამე შეღავათები იქნება?**

— ისინი სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან, თუ ბარიერს გადალახავენ და სტუდენტები გახდებიან, მათ სწავლას სახელმწიფო დააფინანსებს. აფხაზეთში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის სპეციალური პროგრამა გვაქვს: გალელი აბიტურიენტები ეროვნული გამოცდებისთვის უკეთ რომ მოემზადონ, ავიღეთ პასუხისმგებლობა, დავეხმაროთ გალის სკოლების პედაგოგებს გადამზადებაში. კერძოდ, ჩვენი სპეციალისტები პერიოდულად ჩადიან ზუგდიდში და გალელ პედაგოგებს ვუტარებთ ორდღიან სემინარს, ვაძლევთ ყველანაირ მასალას, უფასოდ ვურიგებთ ჩვენს კრებულებს... გალის რაიონში შევქმენით გამოცდისთვის მოსამზადებელი ცენტრები და იქაურ აბიტურიენტებს აქვთ შესაძლებლობა ადგილზევე მოემზადონ. ახალგორშიც გვსურდა ანალოგიური ცენტრის გაკეთება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

## ვერსიანიუსი

### მარგველაშვილის პასუხი სტუდენტებს — საზაფხულო დასაქმების პროგრამას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა




უკვე დიდი ხანია, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები საქართველოს განათლების მინისტრისგან საზაფხულო დასაქმების პროგრამის აღდგენას მოითხოვენ და ამ თემას არაერთი ბრიფინგი თუ აქცია მიუძღვნეს, მორიგი აქცია კი 4 ივნისსაა დაგეგმილი, განათლების სამინისტროს წინ.

სტუდენტური საზაფხულო დასაქმების პროექტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს, რომელსაც სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები ახორციელებენ, საქართველოში კი, წელს, სტუდენტთა „საზაფხულო დასაქმება“ აღარ მოხდება, რამაც ახალგაზრდობა აღაშფოთა. მათ მინისტრს, პროგრამის აღდგენის მოთხოვნით, ჯერ კიდევ 13 მარტს მიმართეს. ოფიციალურ განცხადებაში ეწერა: **„გთხოვთ, გაითვალისწინოთ 10 000 სტუდენტის თხოვნა და 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კვლავ განახორციელოს სტუდენტთა დასაქმების საზაფხულო პროექტი (summer job). ჩვენ ასევე გამოვთქვამთ სურვილს, პროექტთან დაკავშირებით, გაიმართოს საჯარო დისკუსიები და განხილვები, ერთი მხრივ, საინიციატივო ჯგუფის წევრებსა და მეორე მხრივ, სამინისტროს წარმომადგენლებს შორის“.**

სტუდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ საზაფხულო დასაქმების პროგრამა მათთვის ძალიან სასარგებლო და სტიმულისმომცემი იყო — ზაფხულში დასაქმებულებიც იყვნენ, ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებაც ჰქონდათ და ანაზღაურებასაც იღებდნენ. სტუდენტების რამდენიმეთვიან მოთხოვნას განათლების მინისტრი მარგველაშვილი ამგვარად პასუხობს: **„სტუდენტთა დასაქმების პროგრამას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა და მთავრობა აღარ აპირებს, პოლიტიკა დააფინანსოს, სტუდენტთა დასაქმების პროგრამა ერთჯერადი იყო და არ გახლდათ მიმართული საჭირო მიზნებისკენ. ქართული მთავრობა არ აპირებს, დააფინანსოს პოლიტიკა სხვადასხვა დარგების სანაცვლოდ. ის ფული, რომელიც ამ პროგრამაში ჩაიდო, მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატებასა და სტუდენტებისთვის დაფინანსების გაორმაგებას მოხმარდა“.**

გიორგი მარგველაშვილმა დასძინა, რომ ამ პროგრამის შეჩერების მიზეზებს სტუდენტებს პირადად აუხსნის, მაგრამ როდის, ეს ჯერ უცნობია. დრო აჩვენებს, მარგველაშვილი მათთან საგანგებო შეხვედრას დანიშნავს, თუ 4 ივნისს, განათლების სამინისტროს წინ გამართულ აქციაზე მივა. იმასაც დრო გვიჩვენებს, რამდენად გაგებით შეხვდებიან სტუდენტები მინისტრის „ახსნა-განმარტებებს“, დღეს კი, ვითარება ასეთია — ახალგაზრდებს მიზეზები ნაკლებად აინტერესებთ, მათ პროგრამის აღდგენა სურთ.

*„ვერსიანიუსი“*

# საქართველოს შს სამინისტროს პასუხი რუსეთის „მცოცავ ოკუპაციას“

„ეს უკანონო ქმედებაა. საკითხს 31 მაისს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრაზე დავაყენებთ!“



Georgian Service (RFE/RL)

ლუკა ინაშვილი

გორის რაიონის სოფელ დიცსა და დვანთან რუსის სამხედროების მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევას, საქართველოს ხელისუფლების ყველა შესაბამისი უწყების მხრიდან სათანადო რეაგირება მოყვა. 300 მეტრით გადმოწეული „საზღვრის“ გასწვრივ, რუსების 10-კაციანმა ჯგუფმა მავთულხლართების გავლება უკვე 29 მაისს დაიწყო და შედეგად, სოფელ დიცში მდებარე სამი სახლი ე.წ. საზღვრის იქით აღმოჩნდა. **„ჩვენ აღარ გვაქვს უფლება, მივიდეთ არა მხოლოდ სასაფლაოსთან, არამედ საკუთარ სახლებში. პირადად მე, ალბათ, როცა ის „ბეტეერი“ მოვა და საზღვრის გავლებას დაიწყებენ, შეუვარდები და ამით მსოფლიოს გავაგებინებ, რომ ესენი ოკუპანტები არიან“,** — აცხადებს სოფლის მცხოვრები ილია ბერუაშვილი.

29 მაისსვე, გორის რაიონში ვითარება უფრო გართულდა. რუსმა სამხედროებმა, სოფელ დიცის განაპირას, ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ადგილობრივი, 24 წლის როსტომ სოსიაშვილი დააკავეს.

თვითმხილველების განცხადებით, ამ ტერიტორიაზე პირუტყვს 2 არასრულწლოვანი, 13-14 წლის მოზარდები აძოვებდნენ. სოსიაშვილმა შენიშნა, რომ ახალგაზრდებს, ბუჩქებიდან რუსი სამხედროები ეპარებოდნენ და მათი გაფრთხილება სცადა. მოზარდები სოფლის მიმართულებით გაიქცნენ, სოსიაშვილს კი რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ხელბორკილები დაადეს, „ვილისის“ მარკის ავტომანქანაში ჩასვეს და ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.

ამ ფაქტზეც დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და 24 წლის როსტომ სოსიაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქმის კურსში ჩააყენა. შსს-ს ინფორმაციით, სოსიაშვილი რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განმარტებით, უკვე დაწყებულია მუშაობა დაკავებულის გათავისუფლების მიზნით.

სოფელ დიცსა და დვანთან რუსეთის სამხედრო ძალების მიერ ე.წ. სასაზღვრო ზოლის გადმოწევის ფაქტმა, საქართველოში ახალი საპროტესტო ტალღა ააგორა, სახელწოდებით — „არა მცოცავ ოკუპაციას!“ ამ ლოზუნგით საპროტესტო აქცია 1 ივნისს, დიცშიც მოეწყობა და მასში მონაწილეობას, რიგით მოქალაქეებთან ერთად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც მიიღებენ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა რუსეთის ქმედება უკვე შეაფასა რუსეთ-საქართველოს შორის განახლებული დიალოგის ჩაშლის მცდელობად. ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი, ოფიციალური განცხადება გაავრცელა და „ყველაფერს ნათელი მოჰფინა“. განცხადებაში ვკითხულობთ: **„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს, ამჟამად, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის 2009 წლის აპრილში გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები იცავენ. საზღვრის ფიქსაციასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. მესაზღვრეების ქმედებები არავითარ შემთხვევაში არ ეხება მეზობელი სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რუსი მესაზღვრეების მიერ არანაირ თვითნებურ ქმედებას ადგილი არ აქვს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების შეშფოთება კი სხვა არაფერია, თუ არა მორიგი პროვოკაცია, რომელიც საზღვრის გასწვრივ ადამიანებზეა გათვლილი. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებში. სურს თუ არა ეს საქართველოს, სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი, აღიარებული სახელმწიფოა და თავის სასაზღვრო პოლიტიკას თავად განსაზღვრავს“.**

რამდენად განსაზღვრავს ე.წ. სამხრეთ ოსეთი სასაზღვრო პოლიტიკას დამოუკიდებლად, საკითხავია. ალბათ, მხოლოდ ზედმეტად გულუბრყვილო დაიჯერებს, რომ ამ ყველაფრის უკან რუსეთი არ დგას. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ ამ ნაბიჯით, **„რუსები იმყარებენ პოზიციებს, რომელიც დაიპყრეს და ოკუპაცია მოახდინეს. მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, რუსებმა მკაფიოდ იგრძნეს, რომ დაიწყო ქართულ-ოსური შერიგება. ამას ისინი, პირველ რიგში, ოსების წინააღმდეგ აკეთებენ. ქართველები, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, 300-400 მეტრის სიღრმეში შესულიყვნენ ხილზე, ჯონჯოლზე, შეშაზე და უკან ბრუნდებოდნენ. ოსები გადმოდიან 200-300 კილომეტრის აქეთ, თბილისში, გორში, აქ ვაჭრობენ, მკურნალობენ, სწავლობენ, ანუ ოსებმა ტოტალურად დაიწყეს დანარჩენ საქართველოში სიარული. სწორედ ამის წინააღმდეგნი არიან რუსები. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს მთავრობის პრაგმატული პოლიტიკის გამოცდა. რუსეთს უნდა, აგვიყოლიოს ემოციებში. ჩვენი ამოცანაა, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ჩვენი მოქალაქეები დავიცვათ. 300 მეტრით კი არა, რუსეთი კილომეტრებითაა შემოსული 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ 200-300 მეტრზე და თქვენ გინდათ, 200-300 მეტრის გამო გამოვუცხადოთ ომი?! ისინი ავლებენ იქ ხაზს, სადაც მიაჩნიათ, რომ ტერიტორია დაიპყრეს. მათ უნდათ, საქართველოს ხელისუფლება ჩართონ მოლაპარაკებებში — სად გადის საზღვარი. ჩვენთვის ეს ყოვლად დაუშვებელია, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არანაირი საზღვარი არ გადის. იქ არის მხოლოდ გამყოფი ხაზები“.**

ზაქარეიშვილის თქმით, ხელისუფლებას ამ ფაქტზე ერთადერთი რეაგირება ექნება — საქმის კურსში ჩააყენებს საერთაშორისო საზოგადოებას და ეს პროცესი უკვე დაიწყო. ადგილზე ჩასულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. მისი წარმომადგენლების თქმით, **„სოფელ დიცთან მავთულხლართების დამონტაჟების ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება და შემდეგ ისევ პროტესტი, რაც, თავის მხრივ, დესტაბილიზაციაში გადაიზრდება“.**

არსებობს თუ არა დესტაბილიზაციის საფრთხე? რა რეაქცია უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას რუსების მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევის შემდეგ? როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ ე.წ. სასაზღვრო ზოლში, საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოება? — ეს იმ მნიშვნელოვანი კითხვების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელზე პასუხებსაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჯერ კიდევ 28 მაისს, საგანგებო შეხვედრის დროს ეძებდნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლის, კახაბერ ქემოკლიძის განცხადებით, რუსების მხრიდან ე.წ. საზღვრის გადმოწევა უკანონო ქმედებაა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნულ საკითხს უწყება 31 მაისს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრაზე დააყენებს, ივნისის ბოლოს კი, პრობლემასთან დაკავშირებით საუბარი იქნება ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებშიც.

30 მაისს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელები, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, გორის რაიონის სოფელ დიცში შექმნილ სიტუაციას ადგილზე გაეცნენ და რამდენიმე დღის წინ რუსული საოკუპაციო ძალის მხრიდან უკანონოდ დაწყებული, მავთულხლართების გაბმისთვის საჭირო წინამოსამზადებელი სამუშაოები მოინახულეს. შსს-ს ინიციატივით, 3 ივნისს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში დაწყებული მავთულხლართების ინსტალაციის პროცესთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდება საქართველოში აკრედიტებულ ყველა დიპლომატიურ მისიას და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საზღვრის დემარკაციის პროცესის საკითხს შინაგან საქმეთა მინისტრი ბრიუსელში ვიზიტისასაც შეეხო. ღარიბაშვილის თქმით, 3 ივნისს, შს სამინისტროში პრეზენტაციას მოაწყობენ და მსოფლიოს აჩვენებენ, კონკრეტულად რა ადგილებში მიმდინარეობს დემარკაციის პროცესი.

რა შედეგს მოიტანს, საქართველოს ხელისუფლების მიერ უკვე გაწერილი ქმედებები, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი, შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სამართალდამცავები, ე.წ. სასაზღვრო ზოლში, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებსა და უსაფრთხოებას მაქსიმალურად დაიცავენ.

## საქართველოდან თურქეთში ნარკოტიკული საშუალების შეტანის გამო, 9 პირი დააკავეს

თურქული მედიის ინფორმაციით, სტამბოლის ნარკოლოგიური სამმართველოს ჯგუფმა თურქეთში ნარკოტიკული საშუალებების შემომტან ქსელს თვალთვალი 6 თვის წინ დაუწყო.

განხორციელებული ღონისძიებების დროს გაირკვა, რომ ქსელის ლიდერებს ა.უ-ს და თ.ო-ს განზრახული ჰქონდათ საქართველოდან თურქეთში სინთეტიკურ მარიხუანად წოდებული „ბონზაი“ შეეტანათ და მისი რეალიზაცია მოეხდინათ.

მას შემდეგ, რაც ქსელის ორმა ლიდერმა საქართველოდან სტამბოლში ნარკოტიკული საშუალება შეიტანა, ნარკოლოგიურმა სამსახურმა ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა.

ერთდროულად ჩატარებული რამდენიმე ოპერაციის შედეგად, ნარკოტიკის რეალიზატორებსა და ქსელის ლიდერებთან ერთად, 9 კაცი დააკავეს, სპეცოპერაციის დროს პაკეტებში დაფასოებული 11,5 კილო „ბონზაი“, ამ ნარკოტიკული საშუალების დამზადებაში გამოსაყენებელი 530 გრამი ქიმიური ხსნარი და 108 გრამ ქიმიურ ფხვნილთან ერთად, 1 პისტოლეტიც იქნა ამოღებული.

როგორც გაირკვა, 530 გრამი ქიმიური ხსნარის აორთქლებად ნივთიერებებთან ერთად, სპეციალურ მცენარეში შერევით, დაახლოებით, 100 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ბონზაის“ წარმოებაა შესაძლებელი. 100 კგ „ბონზაი“ კი 33 ათასი პაკეტის სახით უნდა გასულიყო ბაზარზე. შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ, 2 ეჭვმიტანილი პირობითი მსჯავრით გათავისუფლდა, 7 კი დააპატიმრეს.

***„ვერსიანიუსი“***



## შსს-მ ახალქალაქში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შსს-მ ახალქალაქში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო. სამინისტროს ინფორმაციით, ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ბარალეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ახალქალაქის რაიონის სოფელ არაგვაში მცხოვრები, სერიოჟა თ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „აკ-74“-ის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 393 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, რასაც სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს.

***„ვერსიანიუსი“***

## ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს დეტექტივების განყოფილებისა და უბნის ინსპექტორების განყოფილების თანამშრომლებმა, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, ზვიად რ. რუსთავში დააკავეს.

სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, ხოლო მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან 1 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება და შუშის ბოთლი ამოიღეს, რომელშიც „ჰეროინი“ იყო მოთავსებული.

შსს-ს განცხადებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სულ ამოღებულია „ჰეროინის“ შემცველი 2,6113 გრ ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაკავებულს „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდგინა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, რასაც საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს.

***„ვერსიანიუსი“***

# „მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, თუ ევრაზიულ კავშირში შესვლა უნდა, ამის შესახებ ღიად ილაპარაკოს!“

რუსუდან შელია
557-100-768

**„მაინტერესებს, საიდან მოდის ეს გადაწყვეტილება. არ გამოვრიცხავ, მსგავსი საკითხი უფრო დაბალ, მინისტრის ან გენერლის დონეზე წყდებოდეს. გვაქვს მცდელობა, ურთიერთობა არა ომითა და ძალით, არამედ მშვიდობიანად დავალაგოთ“, – ასე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი სოფელ დიცში რუსი მესაზღვრეების მიერ საზღვრის გადმოწევის ფაქტს. პრემიერის განცხადებას „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია კატეგორიულად ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ 2015 წელს, საქართველო ევრაზიის კავშირის წევრი გახდება.**



## რაში ამხელს „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ახალ ხელისუფლებას

— რუსეთის მხრიდან ხდება ის, რაც ყოველთვის ხდებოდა — რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და მითვისებას განაგრძობს, „ქართული ოცნება“ კი, კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, არასწორ პოლიტიკას აწარმოებს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსული არც ერთი ახალი მმართველი ძალა წინამორბედის შეცდომებს არ ითვალისწინებს.

**— პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, 200-300 მეტრის გამო, საქართველო რუსეთთან ომს ვერ დაიწყებს. პრემიერი კი, კვლავ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე საუბრობს. დიცთან საზღვრების გადმოწევის ფონზე, რუსეთთან მოლაპარაკების რეჟიმში რაიმე დადებითი შედეგის მიღწევა რეალურია?**

— პაატა ზაქარეიშვილი, როგორც სახელმწიფო მოხელე, საკმაოდ საშიში პიროვნებაა, მისი განცხადებები არანაირ კონტექსტში არ ჯდება და არ მგონია, მან მოღვაწეობა კარგად დაამთავროს. ზოგადად, ხელისუფლებაში აბსოლუტურად არაკომპეტენტური ხალხია, მეტიც — „ქართულ ოცნებას“ წარმოდგენაც არ აქვს, კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში რა აკეთოს. რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში არაფრის დათმობას გეგმავს და ხალხიც მალე მიხვდება, რომ „ოცნება“ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, ტყუის! დღეს ქვეყანას მხოლოდ ერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი მართავს, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის წინადადებაზე, საგარეო საკითხებში თუნდაც არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით თანამშრომლობაზე, უარი განაცხადა. ასევე, მჯერა საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნიკა ვაშაძის, რომელიც აცხადებს, რომ პრემიერმა არაღიარების პოლიტიკის ხელშეწყობაზე უარი თქვა.

**— ნაცმოძრაობას თავგამოდებით იცავთ. არადა, მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ უწყებამ ე.წ. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, დასავლელ პარტნიორებს ინფორმაცია მიაწოდა და პროცესის შეჩერებაც მოითხოვა.**

— მეცინება... როგორ იმართლებს მმართველი პარტია თავს?! აბსურდია, მაია ფანჯიკიძის განცხადებაც, პაატა ზაქარეიშვილმაც გვითხრა, ევროსაბჭოს ხელმძღვანელს ინფორმაცია მალევე მივაწოდეო, თუმცა თავად მინიონმა გაიკვირვა, რუსი სამხედროების მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევის ფაქტის შესახებ მხოლოდ ჟურნალისტებისგან შევიტყვეო. პირადად მე, ზაქარეიშვილზე მეტად, ევროსაბჭოს თავმჯდომარის მჯერა. მესმის, „ოცნებისთვის“, რომელიც კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში ჩამოყალიბებულიც არ არის, მსგავს ფაქტებზე საუბარი წამგებიანია. ქვეყნის პირველი პირების განცხადებებში ყოველთვის ქვეტექსტებს ვეძებ და საკმაოდ ბევრი ინფორმაციაც მაქვს იმ პროცესების შესახებ, რაც საქართველოში ამ ეტაპზე მიმდინარეობს. ყველა აქცია თუ საპროტესტო გამოსვლა, რომელიც ბოლო პერიოდში დაიგეგმა, ბიძინა ივანიშვილის მიერაა მართული.

**— ე.წ. თეოკრატიული აქციებისა და სასულიერო პირების გარკვეული ჯგუფის გააქტიურება ივანიშვილს რაში სჭირდება, მით უმეტეს, როცა არაერთხელ განაცხადა, სექსუალური უმცირესობების უფლებები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოსო?**

— თქვენი საშუალებით, პრემიერ-მინისტრს მივმართავ, თუ ევრაზიულ კავშირში შესვლა უნდა, ღიად ილაპარაკოს და რუსეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე ევაჭროს. ზედმეტია მცდელობა, რასაც ახლა პრემიერი გვთავაზობს იმის დასამტკიცებლად, თითქოს ევროპას არ ვუნდივართ. ეს იმისთვის სჭირდება, რომ ერთ დღესაც, გვითხრან, ასეთები ევროპას არ ვჭირდებით, აგერაა რუსეთი და ევრაზიული კავშირი, რომელიც სიხარულით მიგვიღებსო. თავად რუსეთმაც ევრაზიული კავშირის წევრების შეკრება, პრაქტიკულად, დაასრულა, მხოლოდ აზერბაიჯანი დარჩა და როგორც კი ამ პრობლემას მოაგვარებს, პუტინის ოცნებაც ასრულდება. ასე რომ, თუ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში დარჩა, 2015 წლის ერთ არამშვენიერ დილას, აღმოვაჩენთ, რომ საქართველო ევრაზიული კავშირის წევრია. პირადად მე, ამის წინააღმდეგ არ გამოვალ, თუ რა თქმა უნდა, ევრაზიულ კავშირში გაერთიანების სანაცვლოდ, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

**— ახლა თქვენსავე განცხადებას ეწინააღმდეგებით. თუ რუსეთი და საქართველოს ხელისუფლება ერთ თამაშს თამაშობს, რაში სჭირდებოდა რუსეთს „საზღვრების“ გადმოწევა, რატომ ელოდება მმართველი გუნდი დიდი იმედით ვილნიუსის სამიტს და რატომ აცხადებს პრემიერი, რომ გაისად საქართველო მაპ-ს მიიღებს?**

— ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ვილნიუსში საქართველო ვერაფერს მიიღებს, მით უმეტეს, სასაცილოა ივანიშვილის განცხადება მაპ-თან დაკავშირებით. წარმოუდგენელია, საქართველოს გაისად მაპ-ი მისცენ, თუმცა ამ შემთხვევაშიც ბიძინა ივანიშვილი ჩაფიქრებული გეგმის განსახორციელებლად სწორი ტაქტიკით მოქმედებს. ერთ წელიწადში ხმამაღლა განაცხადებს, ჩვენ მაპ-იც ძალიან გვინდოდა, მაგრამ ამერიკასა და ევროპას არც ნატო-ში ვჭირდებითო. ამიტომ მოვუწოდებ პრემიერს, ღია თამაშით ითამაშოს და ქართველების არ შეეშინდეს, რადგან ამ ეტაპზე, საზოგადოების უმეტესობას რუსეთი ძალიანაც მოსწონს. შესაძლოა, ჩემი განცხადება ბევრმა არასერიოზულად ჩათვალოს. ყველაფერი რამდენიმე წელიწადში გამოჩნდება. სამწუხაროდ, არა მგონია, კოალიციაში შემავალი ძალები პრემიერის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგონ, რადგან ყველას კომფორტი და დასავლური პოლიტიკა კი არა, დასავლური ფულის კუპიურა მოსწონს. დღეს ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ოპოზიციური ძალები არ გააქტიურდნენ და მაშინ, როცა მსგავს ვითარებაში პოლიტიკის საწარმოებლად ფული აუცილებელი ფაქტორი გახდა, ყველანაირ ფინანსურ წყაროს სპობს. დღეს პოლიტიკაში ფული მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აქვს და აბსურდულად მეჩვენება მითი, თითქოს ნაციონალურ მოძრაობას ულევი ფინანსური წყარო გააჩნია. ეჭვი არ მეპარება, „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ცუდად დაამთავრებს.

# „ზურაბ ადეიშვილმა ყველა ნაციონალი მოატყუა, დიდი ფული წაიღო და წავიდა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**თამაზ თამაზაშვილის საქმეზე დაკავებული 6 პოლიციელიდან ერთ-ერთის, გრიგოლ კვინიკაძის გულახდილ ინტერვიუს თამაზაშვილისთვის იარაღის ჩადების შესახებ, „ობიექტივის“ ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა და ადვოკატი ლალი ბიბილეიშვილი აქვეყნებენ. ჩანაწერში კვინიკაძე ხელს კუდ-ის მოქმედ უფროსს ადებს. ინტერვიუს, რომელიც 3 თვის წინ შედგა, ჯღარკავა თებერვლიდან მოყოლებული ინახავდა. როგორც ჟურნალისტმა განაცხადა, ის ამ პოლიციელისგან სხვა მასალებსაც ელოდებოდა, ამიტომ არ იჩქარა და გამოძიებას ჩანაწერები არ გადასცა. ჩანაწერის გამოქვეყნება ახლა იმიტომ გადაწყდა, რომ პროკურატურაში დაბარებულმა კვინიკაძემ სულ სხვა ჩვენება მისცა და საგამოძიებო ორგანოებს მასზე ზეწოლაში დასდო ბრალი. როგორც ირკვევა, მზადდება სარჩელი თამაზაშვილისთვის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ განცხადებებთან დაკავშირებით. მართლაც, იმ პერიოდში, როცა თამაზაშვილი დაჭერილი იყო, პრეზიდენტიდან დაწყებული, გიგა ნასარიძის არასამთავრობო ორგანიზაციით დასრულებული, ყველა მასზე საუბრითა და ნარკორეალიზატორად მონათვლით იყო დაკავებული, მათ შორის, რამდენიმე ტელეარხიც. შესაბამისად, თამაზაშვილი ჩივილს აპირებს. „პრეზიდენტი დღეში ორჯერ ჩემზე ლაპარაკობდა — თამაზაშვილი კრიმინალია, ეკა ზღულაძე კი ლამაზი და შეადარეთ ერთმანეთსო. ამბობდა, თითქოს ზღულაძის ადგილას შს სამინისტროში მე უნდა დავნიშნულიყავი“, — განაცხადა თამაზ თამაზაშვილმა ჩანაწერების გამოქვეყნებისას. როგორც ირკვევა, სარჩელის მოპასუხე მხარე პრეზიდენტი სააკაშვილიც იქნება. ასევე, მზადდება მეორე სარჩელიც ოლეგ პანფილოვის წინააღმდეგ, რომელმაც თამაზ თამაზაშვილის შვილს, დღეს უკვე მაჟორიტარ დეპუტატ ლექსო თამაზაშვილს ბრალი საჯაროდ, სოციალურ ქსელებში დასდო და განაცხადა, რომ მან მისი დის ბანკეტზე პოლიციელი ბომბით ააფეთქა. დღის ფრაზად იქცა პოლიციის ყოფილი უფროსის მიერ „ხბოსთვალებიანი“ დავით ბაქრაძის კრიტიკაც, თუმცა „ვერსიასთან“ საუბრისას თამაზ თამაზაშვილი ზურაბ ადეიშვილსა და პეტრე ცისკარიშვილსაც ახსენებს და ჩვენს რამდენიმე კითხვასაც პასუხობს.**

— ყველას ახსოვს, პეტრე ცისკარიშვილის გატაცება კუსტბიდან, მის მეგობართან ერთად, რომელიც მერე მისი მეუღლე გახდა. მივიღე ოპერატიული ინფორმაცია, ცისკარიშვილი გადავარჩინე და იმის ნაცვლად, მადლობა გადაიხადოს, ჩემს წინააღმდეგ რაღაც სისულელეებს ამბობდა, ჩემს დისკრედიტაციას ეწეოდა. არადა, მისი გამოყვანის სპეცოპერაციაში ერთი მცირე შეცდომაც რომ დაგვეშვა, ორივე დაიხოცებოდა. არც ის გამტაცებლები იყო უბრალო ხალხი, ვითარებაც ძალიან დაიძაბა... დღეს მინდა ვთქვა, რომ პეტრე ცისკარიშვილის მაშინდელი გატაცებაც ნაციონალური მოძრაობის ინსცენირებული იყო! ამ ფაქტს კიდევ სჭირდება კარგი გამოკვლევა.

**— ცისკარიშვილის გათავისუფლების დავალება მაშინ ვისგან მიიღეთ — ცნობილია, რომ ამ ოპერაციისთვის მადლობა არაერთმა ნაციონალმა გადაგიხადათ?**

— ცისკარიშვილის გამოხსნა დამევალა მაშინდელი შს მინისტრისა და პრეზიდენტ შევარდნაძისგან. მაშინ მმართველი გუნდი „მოქკავშირი“ იყო, თუმცა იქაც ნაციონალების დღევანდელი გუნდი აქტიურობდა. მადლობის სათქმელად ჩამოვიდა მთელი მოქალაქეთა კავშირი, პირადად, ადეიშვილმა გამორჩეულად დიდი მადლობა გადამიხადა, მათ შორის, ყვარელში არსებული შეიარაღებული ფორმირებების აღკვეთისთვისაც. ჩემ დროს კახეთში მხედრიონი ვერ შემოდიოდა, მათი უკანონო მოძრაობა აღვკვეთე რეგიონში, თუმცა ადეიშვილი საშინელი ადამიანი გამოდგა! მან ყველაფერი იკადრა და ახლაც, როგორც ამბობენ, ყველა ნაციონალი მოატყუა, დიდი ფული წაიღო და წავიდა!

**— თქვენი დაჭერიდან ცოტა ხანში ჩატარდა ლაფანყურის სპეცოპერაცია, სადაც ასევე გაიჟღერა თქვენმა სახელმა — უკავშირდება თუ არა ეს ფაქტები ერთმანეთს?**

— მიჭირს რამის მტკიცება. ფაქტია, პრეზიდენტი ლაფანყურის ოპერაციის დროს აცხადებდა, აი, თამაზაშვილმა ვერ მოახერხა პანკისის ხეობაში შესვლა და ოპერაციის ჩატარება, ჩვენ კი ეს შევძელით — მე ვარ მაგარი და თამაზაშვილი სუსტიო... ჩემი დაკავებიდან 8 თვის მერეც მახსენებდნენ“. მესაკნე მეუბნებოდა, აინტერესებთ, რა რეაქცია გაქვს ამ სპეცოპერაციების ჩატარებაზეო.

**— რა რეაქცია გქონდათ?**

— ძალიან მაგრად ჩაატარეს-მეთქი, ვამბობდი. აბა, ხომ არ ვიტყოდი, რომ დეგენერატობა ჩაიდინეს და ამდენი ხალხი



ამოხოცეს — მომკლავდნენ! ეს სპეცოპერაცია დიდი შეცდომა იყო... მთელი 28 წელი სისტემაში ისე ვიყავი, ჩემთვის ხმა არავის გაუცია. როგორც კი განცხადება გააკეთა ივანიშვილმა, 3 დღეში დამიჭირეს. ახლა თავად განსაჯეთ, ჩემი ჯინი სჭირდათ თუ ღარიბაშვილის. ჩემი ჯინი რომ ჰქონოდათ, 8 წელი რატომ არ შემეხნენ?!

**— დაბოლოს, საუბრობდნენ, თითქოს არჩევნებამდე გავრცელებულ ცნობილ ციხის კადრებთან თქვენც გქონდათ კავშირი. ასე იყო?**

— იმ ავადსახსენებელ გლდანში რომ ვიყავი, პრეზიდენტი, მაშინდელი შს მინისტრი ბაჩო ახალაია და ხათუნა კალმახელიძე ამ კადრების გავრცელებას მე მაბრალებდნენ. ამბობდნენ, თამაზაშვილმა გადმოიბირა ციხის თანამშრომლები და მისი დავალებით გაუკეთეს პატიმრებს ცოცხებიო... არადა, ჩემს დასაკითხად გამომძიებელიც კი არ შემოსულა. მივმართავ პროკურატურას, ამოიღონ ციხის ვიდეოები, ნახონ, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი ციხეში და მაქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ კადრების გავრცელებასთან!

**თამაზ თამაზაშვილის საქმეზე დაკავებული პოლიციელების სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 30 მაისს შევა. ადვოკატები 6 პოლიციელისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ, რომლის მიხედვით, ბრალდებულებს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ. ამ საქმეზე, გრიგოლ კვინიკაძის გარდა, გოჩა ბაღათრიშვილი, გოჩა ჩიტაია, ზაზა ჭაია, ვლადიმერ გამრეკლიშვილი და გივი კრავჩენკოც არიან დაკავებულნი. ბრალდებული პოლიციელების საქმეზე სასამართლოსწინა სხდომა 15 ივლისს ჩაინიშნა.**

# „5 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა სამსახურიდან წასვლის განცხადება მოტყუებით დამაწერინეს...“

მერაბ ბერიძე

**სამსახურიდან ადამიანების უკანონოდ დათხოვნის პრაქტიკა, სამწუხაროდ, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. სახალხო დამცველი თელავისა და ქარელის გამგებლებს მოუწოდებს, განახორციელონ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და გადახედონ ორსული ქალბატონების სამსახურიდან გათავისუფლების საქმეებს. ომბუდსმენი საერთაშორისო სტანდარტებისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, ქალბატონების დარღვეული უფლებების აღდგენას მოითხოვს.**

ამ მიზნით, უჩა ნანუაშვილმა გამგებლებს კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა. მისთვის ცნობილი გახდა თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ორსული ნ. გ-ს და ე. ბ-ს, ასევე ქარელის გამგებლის მიერ ორსული ნ. მ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ: **„ნ. მ. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა იმ დროს გაათავისუფლა სამსახურიდან, როდესაც ორსულობის გამო დეკრეტულ შვებულებაში აპირებდა გასვლას. ბრძანებას საფუძვლად უდევს თავად ნ. მ.-ს განცხადება გათავისუფლების შესახებ. მისი განმარტებით, განცხადება მოტყუებით დააწერინეს, იმ მოტივით, რომ ახალი გამგებელი ხელახლა დანიშნავდა. ნ. გ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გათავისუფლდა საჯარო სამსახურიდან, ბრძანებას კი საფუძვლად უდევს თავად ნ.გ-ს განცხადება გათავისუფლების შესახებ. მისი განმარტებით, განცხადების დაწერა აიძულა რწმუნებულმა. აღსანიშნავია, რომ გათავისუფლების დროს ქალბატონი იყო ორსულად, რის შესახებაც გამგებელმა იცოდა. ე. ბ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურიდან თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გაათავისუფლა. ბრძანებას საფუძვლად უდევს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი (სამსახურიდან გათავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით), იმ დროს ქალბატონი იყო 5 თვის ორსული. გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, მისთვის უცნობია ამის შესახებ, რადგან მას არც ზეპირსიტყვიერად და არც წერილობით არ მიუმართავს აღნიშნული ფაქტის თაობაზე“.**

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა დეტალურად შეისწავლა ზემოაღნიშნული

## სახალხო დამცველი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ ორსულთა აღდგენას მოითხოვს!

საქმეები, რის შედეგადაც გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა დარღვევა, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოში ქალთა უფლებების დაცვის კუთხით პრობლემებია: **„ორსულ ქალბატონთა გათავისუფლების საქმეებში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მოხელეთა მიერ საერთაშორისო კონვენციებითა და ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური და მატერიალური ნორმების დარღვევას. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგებლების მოვალეობების შემსრულებლებს, განახორციელონ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და გადახედონ ორსული ქალბატონების ნ. გ-ს, ე. ბ-ს და ნ.მ-ს სამსახურიდან გათავისუფლების საქმეებს. საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, აღადგინონ ორსული ქალბატონების დარღვეული უფლებები“.**

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანაშემწის თანამდებობიდან ნ.გ., მისი თქმით, ახალი რწმუნებულის მოსვლისთანავე გაათავისუფლეს: **„როგორც კი მოვიდა ალიკა როსტიაშვილი, მოგვთხოვა განცხადებების დაწერა. უარი ვთქვი, მაგრამ გვიპასუხა, ვინც არ დაწერს, პირველს მას გავათავისუფლებო. დავწერეთ, 4 მარტს კი გამოგვიცხადა, აღარ მუშაობთო. ჩემი ორსულობის შესახებ იცოდა როსტიაშვილმაც და თელავის გამგებელმა ზურაბ ყურაშვილმაც“.**

5 თვის ორსული ე. ბ. სამსახურიდან 2013 წლის 21 იანვარს გაათავისუფლეს. იგი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში სპეციალისტად მუშაობდა. სამსახურში აღდგენის თხოვნით თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა, მაგრამ ამაოდ: **„გამათავისუფლეს შტატების შემცირების მიზეზით. 5 თვის ორსული ვიყავი, რაც იცოდა ჩემმა უშუალო ხელმძღვანელმაც და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმაც. 28 იანვარს მივმართე განცხადებით თელავის გამგებელს და ვთხოვე სამსახურში აღდგენა, დავურთე ექოსკოპიის ასლი და მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების დროს ვიყავი 19-20 კვირის ორსული, სამსახურში მაინც არ აღმადგინეს, თქვეს — ორსულობის შესახებ არ ვიცოდითო“.**



„ვერსიასთან“ საუბრისას, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე წუხს, რომ საქართველოში ბევრი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა და ეს ცუდი ტრადიცია გაგრძელდა ახალი მთავრობის პირობებშიც: **„ალბათ, სახალხო დამცველის ყურამდე ყველა ასეთი შემთხვევა არ მივიდა, სამსახურებიდან უკანონოდ დათხოვნილ ორსულთა რაოდენობა ბევრად მეტია. ომბუდსმენის მხრიდან ამ ტიპის მოთხოვნას მივესალმები და ასეთი დანაშაულის გამოსწორების პრეცედენტის შექმნა სხვისთვისაც მაგალითი იქნება. მნიშვნელოვანია, ყველა ადამიანს ჰქონდეს განცდა, რომ მის მიმართ ნებისმიერი უკანონო ღონისძიების გატარებისას, არსებობს უწყება, რომელსაც მიმართავს და მის მეშვეობით, პრევენციული ნაბიჯები გადაიდგმება, ან უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირება მოხდება. ასევე ვიმედოვნებ, რომ სახალხო დამცველის მოთხოვნას, მისი ადრესატები შეასრულებენ“.**





# „უმუშევრობის შიში რომ არ ჰქონდეთ, სამშობლოში ბევრი ქართველი დაბრუნდებოდა“

## რა პრობლემების წინაშე დგანან და რა საკანონმდებლო ცვლილებას ითხოვენ ემიგრანტები

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

**რამდენიმე დღის წინ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქართველ ემიგრანტებს საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. 27-29 მაისს, საქართველოში მართლაც ჩამოვიდა არაერთი ემიგრანტი, მაგრამ, სამწუხაროდ, დროებით — მათ ქართული დიასპორის დღეების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებათაგან ერთ-ერთი კი, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ჩატარებული კონფერენცია იყო, სადაც ემიგრანტებთან ერთად, ქართული დიასპორის პრობლემებზე პოლიტიკოსებმა ისაუბრეს. „ვერსია“ დაინტერესდა, ყველაზე მეტად რა აწუხებთ ქვეყნის ფარგლებსგარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს და ამ მიზნით, რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.**

საბერძნეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **გიორგი ოკრიბელაშვილი** არალეგალი ემიგრანტებისთვის სტატუსის მინიჭების პროცესის დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს: **„ქართულ სახელმწიფოს ლეგალიზაციის თემაზე ჯერ კიდევ არ დაუწყია დიალოგი და ეს პროცესი ვერც დაიწყება, სანამ არ მოხდება რეადმისიის კანონის დენონსაცია ანუ ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილების შეტანა. თავის დროზე, ევროკავშირთან დადებულ ხელშეკრულებაში, მიხეილ სააკაშვილმა შეიტანა პუნქტები, რომლის მიხედვით, საქართველოს არ ჰყავს ემიგრანტი, არ არსებობს პოლიტიკური დევნა და ყვავის ეკონომიკა; არ გვყავს შრომითი მიგრანტი. უკრაინასა და რუსეთს იგივე კანონზე აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ მათ მოქალაქეებს არ უჭირთ საბუთების გაკეთება, რადგან ამ ქვეყნების პრეზიდენტებმა ჩადეს ერთი მარტივი პუნქტი — მათ არ ჰყავთ პოლიტიკური დევნილი, მაგრამ ჰყავთ შრომითი მიგრანტი“.**

ოკრიბელაშვილის თქმით, ქართული დიასპორის 80% არა ემიგრანტი, არამედ შრომითი მიგრანტია და ამ ფონზე, აუცილებელია, ევროკავშირთან დადებულ ხელშეკრულებაში ის პუნქტები გადაკეთდეს, რომელიც არასწორად, მიზანმიმართულად ჩაიდო. საქართველომ უნდა აღიაროს, რომ ქვეყანაში ეკონომიკა არ არსებობს და უცხოეთში დასაქმებული ქართველი მოქალაქეების უმრავლესობა შრომითი მიგრანტია. შრომითი მიგრანტის სტატუსის მიღება აუცილებელია, რათა ქართულმა დიასპორამ საბუთების მოწესრიგება და ლეგალიზაციის მიღება მოახერხოს.

ეკონომიკის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს სლოვაკეთში მოღვაწე ბიზნესმენი **ნოდარ გიორგაძე**. მისი თქმით, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება არაა საკმარისი, ემიგრაციამ ქვეყანაში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღოს: **„ემიგრანტების დასაბრუნებლად აუცილებელია, საქართველოში იმ დონეზე განვითარდეს ეკონომიკა, რომ დასაქმებულთა ანაზღაურება საზღვარგარეთ აღებულს გაუტოლდეს, სხვაგვარად ადამიანებს დაბრუნების სურვილი არ გაუჩნდებათ და ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია“.** ნოდარ გიორგაძე იმასაც აღნიშნავს, რომ მზადაა, წვლილი შეიტანოს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში.

ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი **მაია კილაძე** კი გამოგვიტყდა, წინა ხელისუფლების დროს, სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველებმა ინანეს ეს გადაწყვეტილება, აქ ვერ გაძლეს, სამსახურიც ვერ იშოვეს, საზღვარგარეთ დაბრუნდნენ და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწიათო: **„აქ სამსახურის ვერდაწყების შიში რომ არ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, ამერიკაში მცხოვრები ბევრი ქართველი დაუბრუნდებოდა საქართველოს“.**

მაია კილაძე გვიამბობს, რომ ამერიკაში მცხოვრებ ბევრ ქართველთან აქვს ურთიერთობა, მათ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის იმედი მიეცათ და გაუჩნდათ სამშობლოს აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობის სურვილი, თუმცა ჩამოსვლის გადაწყვეტილებას ეკონომიკური პრობლემების გამო ვერ იღებენ.

ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენის შესახებ გიორგი ოკრიბელაშვილიც გვიამბობს. მისი აზრით, ივანიშვილის მთავრობას ემიგრანტების პრობლემების დამალვის პოლიტიკური ინტერესი არ გააჩნია. წინა ორი ხელისუფლება ემიგრანტების ხმებს არჩევნებში კარგად იყენებდა და ეს მათთვის სასურველი, ხელსაყრელი ბაზა იყო. ახალმა ხელისუფლებამ ემიგრანტების აღრიცხვის სურვილი გამოთქვა, რაც პოლიტიკური ინტერესის შეცვლაზე მიანიშნებს. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება მილიონნახევარზე მეტი ემიგრანტის არსებობას აღიარებს, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია: **„კოტე სურგულაძის, როგორც სახელმწიფო მინისტრის ყველაზე დიდი პრობლემა, ხელისუფლების მიმართ ემიგრანტთა ნდობის აღდგენა იქნება. პროცესი დაწყებულია, რადგან ხელისუფლებამ ემიგრანტებთან შეხვედრები დაიწყო და მათი პრობლემებით დაინტერესდა“.**

ბიზნესმენის თქმით, ხელისუფლების ხალხისკენ შემობრუნების პროცესის დაწყებას ქართული ემიგრაცია აშკარად ხედავს. მიუხედავად ამისა, ჯერ ცოტა დროა გასული იმისთვის, რომ შედეგი თითოეულმა ემიგრანტმა იგრძნოს. დიასპორის წარმომადგენლებს ეს კარგად აქვთ გააზრებული და მოთმინებით ელიან პროცესის დასრულებას.


THE NATIONAL INTEREST

May 30, 2013 | Follow The National Inter

search The Nation

SECURITY | SOCIETY | ECONOMICS | POLITICS | GLOBAL GOVERNANCE | REGIONS | MAGAZINE | ARTICLES | BLOGS

Abkhazia, the Comfortable Conflict Zone

Thomas de Waal | May 28, 2013

More

A curious word comes to my mind, entering a conflict zone: tidy. Abkhazia looks tidy. The journey from the River Inguri to Sukhumi (as most of the world still calls the city, the Abkhaz insist on their traditional name Sukhum) follows a newly repaired road and takes little more than an hour. Construction is going on all over town. Shops are open and there are advertising hoardings on the street. Russian tourists stroll along the embankment enjoying the bright spring weather.

## „კომფორტული კონფლიქტური ზონა“

„აფხაზეთი – კომფორტული კონფლიქტური ზონა“ — ამ სათაურით აქვეყნებს The National Interest კარნეგის ცენტრის ექსპერტის, კავკასიის მკლევარის, თომას დე ვაალის სტატიას აფხაზეთზე. **„აფხაზეთი მოწესრიგებულად გამოიყურება. სოხუმში ახალშეკეთებულ გზებს მივუყვები, მთელი ქალაქის გარშემო მშენებლობები მიმდინარეობს, მაღაზიები ღიაა, ქუჩებს სარეკლამო სტენდები ამშვენებს. სანაპიროზე კი რუსი ტურისტები გაზაფხულის მშვენიერი ამინდით ტკბებიან“,** — წერს თომას დე ვაალი და დასძენს, რომ ქალაქის ცენტრში კვლავაც რჩება 1992-93 წლებში, საქართველო-აფხაზეთის ომის შემდეგ გაპარტახებული საბჭოთა ეპოქის პარლამენტის შენობა.

დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა ამტკიცებს, რომ აფხაზეთი არ არის ოკუპირებული ტერიტორია და იქ ვერც ერთ ოკუპანტს ვერ შენიშნავთ: **„რუსი ჯარისკაცები, აფხაზეთში მხოლოდ საზღვრის გადაკვეთისას ვნახე, მაგრამ როგორც უნდა იყოს, რუსული კონტროლი აფხაზეთის ტერიტორიაზე მსუბუქად მაინც არსებობს“,** — წერს ექსპერტი და აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსეთის ეკონომიკურ დომინანტობაზე არავინ დავობს. გზების, სკოლების, სამთავრობო შენობების რეაბილიტაცია და სოფლის მეურნეობა ფინანსდება რუსული ფონდებიდან, აფხაზ პენსიონერებს პენსიას რუსეთი უხდის.

როგორც თომას დე ვაალი წერს, აფხაზეთში მწვავე დებატები მიდის იმაზე, გაიცეს თუ არა გალის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე აფხაზური პასპორტები. **„ისინი მიიჩნევენ, რომ 20 ათასი ქართველი, რომელთაც აფხაზური პასპორტი მიიღეს, ნიშანია იმ აფხაზური სახელმწიფო პროექტისა, რომელიც თავის დროზე, კოსოვოში მიიღეს — „ჯერ სტანდარტები, მერე სტატუსები“.** კონსერვატორები უარს ამბობენ ეთნიკური ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემაზე და თბილისთან რაიმე სახის ურთიერთობაზე. აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივნის, სტანისლავ ლაკობას თქმით, გალში, ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა აფხაზეთს „გაანადგურებს“.

სტატიის ავტორი წერს, რომ საქართველოში ამ საკითხის გარშემო მსგავს დაპირისპირებულ მოსაზრებებს ვერ მოისმენთ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება დღის წესრიგში არ დგას, თუმცა საკითხისადმი მიდგომა განსხვავებულია საქართველოს ამჟამინდელი და წინა ხელისუფლებების მხრიდან.

კავკასიის მკვლევარის თქმით, ამ ყველაფერს მცირე, მაგრამ შედეგი მაინც მოჰყვა – გასულ კვირას, ენგურზე ორი ახალი დამატებითი გამშვები პუნქტი გაიხსნა. მხარეებმა ერთად დაიწყეს მუშაობა მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ომის დროს დაკარგულებსა და ცოცხლად დაკავებულებს ეხება: **„მაგრამ ახალი ხელისუფლების მიერ კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა ახალი ინიციატივა ნაცმოძრაობის კრიტიკის საგანია. ისინი ამას რუსეთის ინტერესების კაპიტულაციად მიიჩნევენ“.** სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აფხაზეთი-საქართველოს მომავალი ურთიერთობებისთვის მომგებიანი იქნება აფხაზეთის ნაწილის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა: **„საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ეს იდეა ცოტა ხნის წინ წამოჭრა. წინააღმდეგობას წააწყდა აზერბაიჯანისა და ქართული ოპოზიციის მხრიდან, მაგრამ რუსებისა და აფხაზების მოწონება დაიმსახურა. ნიშანდობლივია, რამდენი ადამიანი დაუჭერს მხარს ან გაუწევს წინააღმდეგობას რეგიონულ პროექტს, რომელმაც შესაძლოა, რეგიონის დაშლილი ნაწილები გააერთიანოს. ეს ყველაფერი ერთ რამეზე მიუთითებს — როგორ კომფორტულად გრძნობს თავს ყველა იმ სტატუსკვოსთან, რომელიც ჯერაც გრძელვადიანი დისკომფორტია აფხაზებისთვის, ქართველებისა და სხვებისთვის“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# „დაგეგმილი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია თავად გიორგი ჭანტურიამ მომაწოდა“

## რაში ვერ თანხმდებიან მკვლელობის გამოძიებით დაინტერესებული ბაჩუკი ქარდავა, მამუკა გიორგაძე და ირინა სარიშვილი



რუსუდან შელია
557-100-768

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გია ჭანტურიას მკვლელობის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით, პროკურატურას შვილმა, გიორგი ჭანტურიამ და სახალხო პარტიის ლიდერმა, მამუკა გიორგაძემ მიმართეს. გიორგი ჭანტურიას განცხადებით, მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, უამრავი კითხვა ამ დრომდე პასუხგაუცემელია და საქმეც სრულფასოვან გამოძიებას მოითხოვს: **„ხელისუფლებასა და პროკურატურას ვთხოვ, გიორგი ჭანტურიას საქმესთან დაკავშირებით ყველა დეტალი სრულფასოვნად გამოიძიოს და გვიპასუხოს კითხვებზე — რატომ, რისთვის და ვინ ჩაიდინა მკვლელობა? ამასთან, რა ინტერესებს ემსახურებოდა გიორგი ჭანტურიას გარდაცვალება“.**

ოჯახის წევრებს დაასწრო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ, რომელიც გიორგი ჭანტურიას საქმის ხელახალი გამოძიებით პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაინტერესდა. ქარდავას განცხადებით, ამის მიზეზი საქართველოში გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ორგანიზებაში ბრალდებული, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის თემურ ხაჩიშვილის დაბრუნება გახდა. „ვერსიასთან“ საუბრისას, ქარდავამ ასევე აღნიშნა, რომ გიორგი ჭანტურიას მკვლელობა, უშუალოდ, ედუარდ შევარდნაძისა და იგორ გიორგაძის მონაწილეობით დაიგეგმა: **„2012 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც გაჟღერდა, რომ შესაძლოა, საქართველოში იგორ გიორგაძე დაბრუნდეს, მოგვიანებით კი, თემურ ხაჩიშვილი პოლიტდევნილის სტატუსით მოგვევლინა, სასამართლოდან გიორგი ჭანტურიას საქმე გამოვითხოვეთ. ბუნებრივია, პირველი გამოძიების მიერ დადებული შედეგები არ გვაკმაყოფილებს, რადგან იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სპეცოპერაციაში უშუალოდ მონაწილეობდნენ, დღეს ხელისუფლება ხელს აფარებს. არადა, საქმეში აღიარებითი ჩვენებები არსებობს, ისიც კარგადაა ნაჩვენები, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა დაკითხვა. ფაქტია, გიორგი ჭანტურიას მკვლელობით ეროვნული მოძრაობის ის ლიდერი გაანეიტრალეს, რომელიც ქვეყნის პრიორიტეტად დასავლური კურსით სვლას მიიჩნევდა. სხვათა შორის, მკვლელობამდე ორი კვირით ადრე გიორგი ჭანტურიამ მითხრა, პრიმაკოვის კაბინეტში ჩემი ლიკვიდაციის გეგმა განიხილებაო. სამწუხაროდ, ეს გეგმა ქართველებმა მოიყვანეს სისრულეში... გამოძიებას თავიდანვე ყველა მოწმის ჩვენება რომ გაეთვალისწინებინა, ბევრად მაღალ ეშელონებზე გავიდოდა, ვიდრე თემურ ხაჩიშვილი, იგორ გიორგაძე, ვარდიკო ნადიბაიძე ან თუნდაც, შოთა კვირაიაა. დიახ, სწორედ ამ ადამიანებმა, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, გიორგი ჭანტურიას მკვლელობის გეგმა სისრულეში მოიყვანეს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს ადამიანები მაშინ იარაღს ფლობდნენ და რუსეთის გრუს-თან პირდაპირი კავშირიც ჰქონდათ. დანარჩენი ობიექტურმა გამოძიებამ გამოიკვლიოს. ვიმეორებ, დაგეგმილი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია თავად გიორგი ჭანტურიამ მომაწოდა. გიორგი ჭანტურიას შვილის პოზიციაც ჩემთვის სრულებით მისაღებია, რადგან დაუშვებელია, ეს საქმე თემურ ხაჩიშვილის დონეზე დავტოვოთ“.**

თუ ბაჩუკი ქარდავა საქმეში იგორ გიორგაძის კვალს ხედავს, გიორგი ჭანტურიას გამოძიების განახლებით დაინტერესებული ედპ-ს ყოფილი წევრი, ამჟამად კი, სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე უშიშროების ყოფილი მინისტრის ბრალეულობასთან დაკავშირებით, მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებს. მეტიც, იგი ქარდავას პოზიციას უპირისპირდება და ამბობს, რომ გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ პარტიის დასუსტება იყო: **„ჩვენი სურვილია, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში სტაბილური ცხოვრება დაიწყოს და ჯანსაღი, ღია მმართველობა დამკვიდრდეს. საქართველოს მომავალს, ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად სწორედ ეს სჭირდება. გიორგი ჭანტურიას საქმის განახლებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან დაუშვებელია, მისი მკვლელობის ირგვლივ არსებული შეკითხვები ამდენი წლის განმავლობაში პასუხგაუცემელი იყოს. რა მოტივით ჩაცხრილეს გიორგი ჭანტურია, რა მიზანი ამოძრავებდა დამკვეთს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის მკვლელობით, ვის გაეხსნა გზა, ვინ იხეირა პოლიტიკაში ამ ყველაფრით — აი, ესაა კითხვები, რომლებზეც გამოძიებამ ამომწურავი პასუხი უნდა მოგვაწოდოს. გიორგი ჭანტურიას მკვლელობით, ქართველებს ჩვენს მიერ არჩეული სწორი გზიდან გადაგვახვევინეს, სწორედ ეს გახდა მიზეზი, დღემდე ჯადოსნურ წრეში რომ ვტრიალებთ და იდეებისა და პრინციპების ერთგულების ნაცვლად, პიროვნებებს ვიცვლით. დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული და ეროვნულად მოაზროვნე, თუ გიორგი ჭანტურიას მკვლელობის საქმეს სრულფასოვნად გამოიძიებს. რაც შეეხება ბაჩუკი ქარდავას განცხადებას, გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ბაჩუკი ქარდავასნაირი ტკიპები ედპ-ს დაპატრონებოდნენ“.** როგორც მამუკა გიორგაძემ „ვერსიას“ განუცხადა, საქმის გამოსაძიებლად საკმარისი დოკუმენტური მასალა არსებობს, რომლის საფუძველზეც, მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირები სასწრაფოდ უნდა დაიკითხონ: **„გიორგი ჭანტურიას მკვლელობა ედუარდ შევარდნაძისა და მისი დაჯგუფების მიერ ორგანიზებული იყო, რომელთა მიზანს საქართველოში შევარდნაძე-სააკაშვილის ტირანიის გამეფება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ირინა სარიშვილი პოზიციებს ხშირად იცვლიდა და მეუღლის მკვლელობაში ხან შოთა კვირაიას, ხან ჟვანიასა და ხანაც ძმებ რურუებს ადანაშაულებდა, ჭანტურიას იდეოლოგიის გამგრძელებლები იგივე აზრზე ვრჩებით და დღესაც იმას ვიმეორებთ, რასაც წლების წინ ვაცხადებდით. ჩემ ხელთარსებულ მასალებს გამოძიებას აუცილებლად მივაწვდი“.** კონკრეტულად, რა სახის დოკუმენტაცია აქვს და ვისი ბრალეულობა მტკიცდება მის ხელთარსებული დოკუმენტების მიხედვით, მამუკა გიორგაძემ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ განმარტა.

გიორგი ჭანტურიას მკვლელობის გამოძიების განახლებას ედპ-ს ლიდერის ქვრივი ირინა სარიშვილიც მიესალმება და გამოძიების ობიექტურად ჩატარების მიზნით, ოპერაციის გაკეთებაზეც თანახმაა. 1995 წლის 3 დეკემბერს, საკუთარი ბინის სადარბაზოდან გამოსულ გიორგი ჭანტურია მეუღლესთან ერთად, მანქანაში ჩაცხრილეს, რა დროსაც ირინა სარიშვილი მძიმედ დაშავდა.

ირინა სარიშვილი: **„ჩაცხრილვისას ტყვია მეც მომხვდა, რომელთაგან ერთ-ერთი დღემდე ორგანიზმში მაქვს, ანუ ორ ფეხზე მოსიარულე სამხილი ვარ. შევარდნაძის ხელისუფლების დროს გერმანიაში ოპერაციის ჩატარებასა და ტყვიის ამოღებას მთავრობის დაფინანსებით მთავაზობდნენ, თუმცა მაშინ ამ წინადადებას არ დავთანხმდი. დღეს ამისთვის მზად ვარ, ოღონდ იმ პირობით, თუ ოპერაცია პრივატულად არ ჩატარდება და ტყვიის ჩანაცვლების საფრთხე არ იარსებებს. გია ჭანტურიას შვილის პოზიციას სრულად ვეთანხმები, თუმცა ახალი გამოძიების მიმართ ოპტიმისტურად განწყობილი არ ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, სისტემური ცვლილება არ განხორციელებულა, შესაბამისად, მეეჭვება, გამოძიება ნორმალურად წარიმართოს. დღევანდელი ვითარება და გარემოება არ იძლევა საშუალებას, მკვლელობის მოტივაცია ობიექტურად დადგინდეს. მეტიც, არ გამოვრიცხავ, ამ ხელისუფლებაშიც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან ამ ტერორისტული აქტის მნიშვნელობის დაკნინებას და მკვლელობის რეალური მოტივაციის დადგენას“.**



1. ოტელოს მეუღლე
2. მთიანი მხარე რუსეთში
3. ცეცხლის მნათი ნაწილი
4. იხტიბარი
5. ჰიტლერის წიგნი „... კამპფ“
6. ვიქტორ ჰიუგოს კუზიანი პერსონაჟი
7. მუს. წყობა ნაღვლიანი ელფერით
8. მწყემსის მოსასხამი
9. ინგლისელი ფეხბურთელი
10. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
11. ბრტყელი თევზი
12. დინამიტის გამომგონებელი
13. ხელოვნური მორწყვის ღონისძიებათა სისტემა
14. ბრინჯაო ძველ ქართულში
15. მუსიკ. გამის I ნოტი
16. ქრისტეს გამყიდველი
17. მაუგლის ლიტერატ. „მამა“
18. ქართ. კომპოზიტორი, პოეტი და მომღერალი ქალი
19. მოკარნახე თეატრში
20. შინაური ცხოველი
21. გოლიათი არსება ქართულ ხალხურ ზღაპრებში
22. იგივეა, რაც თაღი
23. მოძრაობის გადამცემი ბორბალი
24. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა
25. ჯოყოლას გვარი „სტუმარ-მასპინძელში“
26. პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელი
27. ბრალდებულის წამების ფორმა შუა საუკუნ. ევროპაში
28. სახელმწიფო ფულადი დახმარება
29. შებოლილი ხორცი
30. ტბა თბილისის შემოგარენში
31. თავის კანი თმებიანად
32. სასახლის სახელწოდება იტალიაში
33. ბრიტანელი სოულ-მომღერალი
34. გამის პირველი ძირითადი ბგერა
35. პატარა სასადილო იტალიაში
36. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება
37. სხეულის კუნთების მიზანმიმართული გადიდება
38. თბილისის ზღვის მკვებავი მდინარე
39. თაფლიანი ფიჭა
40. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
41. იგივეა, რაც გოგრა
42. ფრანგი ჩოგბურთელი ... ნოა
43. ამერიკ. მომღერალი ... ფრანკლინი
44. ამერიკელ ინდიელთა ტომი
45. თხევადი ნარევის დაყოფა შემადგენელ ფრაქციებად
46. იტალიური ღვეზელი
47. ნახშირ-ბადის და წყალ-ბადის ატომთა ჯგუფი
48. ნაპოლეონის კარის მხატვარი
49. დაბალი და ფართო დივანი
50. სუფთად გათლილი ქვის იატაკი
51. ქართული კინოაკადემიის პრიზი
52. ქალაქი სამეგრელოში
53. ეშმაკის სახელწოდება ყურანში
54. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი უილ ...
55. ნადირობა აფრიკაში
56. ფრანგი მწერალი ... დიდრო
57. ეთერზეთოვანი ბალახოვანი მცენარე
58. საკვები პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა
59. პატარა მრგვალი უძვლო ცხოველი
60. პატარა დროშა
61. კვერცხის თეთრი გარსი
62. უცხიმო ხორცი
63. სოფელი ყაზბეგის რაიონში
64. კაზაკთა სოფელი
65. ჟაკ-ივ კუსტოს ხომალდის სახელწოდება
66. ჭადრაკის ფიგურა
67. ისრის წვერი
68. გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი
69. მუხის ნაყოფი
70. კორეული ავტომარკა
71. მუსიკალ. გამის IV ნოტი
72. ჟორჟ სიმენონის კომისარი
73. განის დედაქალაქი
74. გია ყანჩელის ოპერა „და ... მუსიკა“
75. ყორნისებრთა ოჯახის მომცრო ფრინველი
76. ღამის ფრინველი
77. შტატი ინდოეთში
78. ფრანგი მწერალი
79. აიშვა-რია ..
80. ბერძნ. ანბანის ასო
81. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
82. გადამწყვეტი შეტევა მოწინააღმდეგეზე
83. ბგერის გრაფიკული ნიშანი

# ნაყინი ექსტრემალებისთვის

ვენესუელაში, პატარა ქალაქ მერიდაში მდებარეობს მაღაზია, სახელწოდებით ჩორომოტო. ეს შეუხედავი დაწესებულება ტკბილეულის ნებისმიერ მოყვარულს გააოცებს — მაღაზიაში შეგიძლიათ ნახოთ 860 სახეობის ნაყინი. გარდა ჩვეულებრივ ცივი დესერტისა, ჩორომოტო მსურველებს უჩვეულო არომატებსაც სთავაზობს, მაგალითად, ექსტრემალური გემოს მოყვარულებს შეუძლიათ პირი „ჩაიტკბარუნონ“ ჩილის, სოკოს, ღვინის, ხახვის ან ნივრის ნაყინით. ყველაზე გაბედულებს კი სარდინების, კვერცხისა და ყველიანი მაკარონის გემოს მქონე ნაყინსაც გაასინჯებენ. მაღაზიას საფირმო დესერტიც აქვს — ნაყინი Pabellon Criollo, რომლის გემოც ვენესუელური კერძის იმიტირებაა. მას საქონლის ხორცის, ბრინჯის, ბანანის, ყველისა და შავი ლობიოსგან ამზადებენ.





# ჰოროსკოპი

## 31 მაისი

***ვერძი*** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, ეს ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს შესაძლოა, საჩუქარიც მიიღოთ.

***კურო*** — დღეს არის საშიშროებაა, ილუზიებსა და თქვენსავე ტყუილებში აიბნეთ, მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

***ტყუპები*** — ეცადეთ, დღეს ისე არ მოიქცეთ, რომ მერე მობოდიშება დაგჭირდეთ. დიდია ტრავმების ალბათობა და ფინანსებთან დაკავშირებითაც, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებას. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

***ლომი*** — ლომებისთვის წარმატებული დღეა, არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. საღამოს თუ გარკვეულ დროს დასვენებას დაუთმობთ და ყველა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება. ცოტა ხნით მარტოობაც სასარგებლოა.

***ქალწული*** — დღეს შესაძლებელი გახდება ახალი საქმის დაწყება, რაც საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, გამოავლინოთ ნიჭი და მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

***სასწორი*** — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან არსებულ მდგომარეობაში მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა გაგიჭირდებათ.

***ღრიანკალი*** — დღეს კარგი განწყობა საქმეშიც შეგეტყობათ და პირად ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის. თუმცა, ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

***მშვილდოსანი*** — დღეს მშვილდოსნების წარუმატებლობის პერიოდი დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

***თხის რქა*** — დღეს გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა, ცხოვრების დინებას მიჰყვებით და ამიტომ ნერვიულობთ, თუმცა ყველაფერი არც ისე რთულადაა, როგორც გეჩვენებათ.

***მერწყული*** — მერწყულებმა აქცენტი დღეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ და ახლობლების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა სასიყვარულო ურთიერთობისთვის.

***თევზები*** — ნებისყოფისა და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც ეს დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატაროთ.

# გვირილის ჩაი სიმსივნის წინააღმდეგ



ოჰაიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გვირილის ჩაიში აღმოაჩინეს აპიგენინი — ნაერთი, რომელიც კიბოს უჯრედებს ასუსტებს. მკერდის კიბოს უჯრედები ჩვეულებრივზე მეტხანს ცოცხლობენ და ადვილად მრავლდებიან, აპიგენინი გამრავლებაში უშლის ხელს და, ამავდროულად, ქიმიოთერაპიისადმი მგრძნობიარეს ხდის. გარდა გვირილის ჩაისა, ეს ნაერთი შედის ოხრახუშსა და ნიახურში, ხილსა და ბოსტნეულში... სხვათა შორის, აპიგენინს ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს. ამერიკელების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აპიგენინი ადამიანის ორგანიზმში, დაახლოებით, 160 ცილას უკავშირდება, ქიმიური პრეპარატების უმრავლესობა კი მხოლოდ ერთ მოლეკულაზე მოქმედებს.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# შაქრის შემცვლელები ასუქებს



ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ შაქრის შემცვლელები ჩვეულებრივი შაქრის კარგი ალტერნატივაა. სინამდვილეში, შაქრის შემცვლელებს ვერანაირად ვერ ვუწოდებთ ჯანსაღ საკვებს, რადგან ზიანს აყენებს ორგანიზმს. ექიმებმა ისიც გაარკვიეს, რომ შაქრის შემცვლელები შეიძლება იყოს ჭარბი წონის მიზეზი. ჩრდილოეთ კაროლინელმა მეცნიერებმა 12-კვირიანი გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც მოხალისეთა ორი ჯგუფი მონაწილეობდა. პირველი ჯგუფის წევრების რაციონიდან საერთოდ ამოიღეს ნებისმიერი სახის ტკბილეული, მეორე ჯგუფისთვის კი შაქრის შემცვლელი გამოიყენეს. ექსპერიმენტის შედეგად, პირველი ჯგუფის წარმომადგენლებმა უფრო მეტად დაიკლეს წონაში. მეცნიერები ამ შედეგს იმით ხსნიან, რომ შაქრის შემცვლელები მნიშვნელოვნად ამცირებს მეტაბოლისმს და გარდა ამისა, მათი გამოყენებისას ორგანიზმი ცდილობს საკვებიდან რაც შეიძლება მეტი კალორია მიიღოს.

# პირველი კომპიუტერი ნახევარ მილიონად გაიყიდა

კომპანია Apple-ის წარმოების ერთ-ერთი პირველი კომპიუტერი, ბერლინში გამართულ აუქციონზე 516 ათას ევროდ გაიყიდა. რარიტეტული კომპიუტერი, ეგრეთ წოდებული Apple 1, კომპანიის დამფუძნებლებმა სტივ ჯობსმა და სტივ ვოზნიაკმა ოჯახის ავტოფარეხში ააწყვეს 1976 წელს, შემდეგ კი 666 დოლარად გაყიდეს. მხოლოდ დედა-პლატისგან შემდგარ კომპიუტერზე ვოზნიაკის ავტოგრაფია და ის აზიელმა ანონიმურმა მყიდველმა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ შარშან მსგავსი კომპიუტერი 490 ათას ევროდ გაიყიდა.






# ჰოროსკოპი

## 1 ივნისი

***ვერძი*** — ვერძებს დღეს ახალი ნაცნობობა, შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მათი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ.

***კურო*** — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლის ახალი წყაროს ძიება. ყურადღებით იყავით და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

***ტყუპები*** — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს და მაშინვე მიიღებთ სასარგებლო რჩევებს.

***კირჩხიბი*** — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ოჯახშიც.

***ლომი*** — ლომებს ეძლევათ შანსი, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და სიფრთხილე არ დაივიწყოთ, ემოციები მოთოკეთ და დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

***ქალწული*** — ქალწულებს შეუძლიათ, საკუთარი პროექტების უმრავლესობა რეალობად აქციონ. თქვენთვის საქმიანობის ისეთი ახალი მიმართულებები გამოჩნდება, რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ.

***სასწორი*** — სასწორებს დღეს ფინანსური სირთულე ელით. შესაძლოა, დიდი თანხა დახარჯოთ გაუთვალისწინებელ ნივთებზე ან ძველი ვალი დააბრუნოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელოდებათ და ვითარებაც თქვენს სასიკეთოდ იცვლება.

***ღრიანკალი*** — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. პროფესიულ სფეროში გარკვეული გამოცოცხლებაა. შესაძლოა, სხვა საქმით დაკავდეთ ან სხვისი მოვალეობები შეასრულოთ. მოთმინება და პატიოსნება ყველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს შეიძლება მოულოდნელად მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ იმ ადამიანისგან, ვისი იმედიც საერთოდ არ გქონდათ. თქვენი შრომისუნარიანობით კი დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

***თხის რქა*** — დღეს სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და საიმედო ნოტაზე დასრულდება. ახლა სწორედ შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწყენინათ.

***მერწყული*** — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელით, სადაც ძველ მეგობარს შეხვდებით და ეს ძალიან გაგახარებთ. შესაფერისი დროა კარიერაზე დასაფიქრებლად.

***თევზები*** — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. უჩვეულო აზრები და ორიგინალური იდეები მოსვენებას არ გაძლევთ. მთავარია, დაუფიქრებელი ნაბიჯებისგან თავი შეიკავოთ და ნებისმიერი გადაწყვეტილება სადი გონებით მიიღოთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 9 | | | |
| | | 4 | | | | 2 | | 9 |
| | | | 6 | 2 | | | 5 | 3 |
| 9 | | | | 8 | | | | |
| | 6 | | 1 | 3 | 4 | | 8 | |
| | | | | 9 | | | | 5 |
| 7 | 2 | | | 6 | 8 | | | |
| 4 | | 9 | | | | 6 | | |
| | | | 2 | | | | | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | | | | | | | |
| | 4 | | | 7 | 6 | | | |
| 2 | | 9 | 5 | | | | 6 | |
| | 5 | | 3 | | 1 | 8 | | |
| 3 | | | | | | | | 4 |
| | | 6 | 4 | | 2 | | 9 | |
| | 7 | | | | 8 | 9 | | 2 |
| | | | 1 | 2 | | | 8 | |
| | | | | | | | 4 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 4 | | | 1 |
| | | | 2 | | | 8 | 7 | 4 |
| 4 | | | | | | | 6 | |
| | | | | 6 | | | | 8 |
| | | 8 | 9 | 7 | 2 | 5 | | |
| 9 | | | | 3 | | | | |
| | 4 | | | | | | | 9 |
| 7 | 9 | 6 | | | 5 | | | |
| 5 | | | 3 | | | 4 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | 7 | | |
| | 8 | | 2 | | | 6 | | |
| 6 | | | 3 | | | | 2 | 1 |
| 2 | | 8 | | 4 | | | 9 | |
| | | | | | | | | |
| | 7 | | | 2 | | 8 | | 3 |
| 8 | 1 | | | | 6 | | | 7 |
| | | 4 | | | 5 | | 6 | |
| | | 3 | 9 | | | | | |



# ჰოროსკოპი

## 2 ივნისი

***ვერძი*** — ვერძებისთვის არც ისე სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა და გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული სამუშაოთი დაკავდეთ.

***კურო*** — დღეს შესაძლოა, ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. ყურადღებით იყავით, გარშემომყოფებში წყენა რომ არ დაიმსახუროთ. მეტი იმოძრავეთ და ფიზიკურ დატვირთვას თავს ნუ აარიდებთ.

***ტყუპები*** — სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას დღეს საბოლოოდ წერტილი დაესმება. პირად ურთიერთობებში შერიგებისა და სიმშვიდის პერიოდი დგება. ოპტიმიზმი კი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას უფრო გაგიმყარებთ.

***კირჩხიბი*** — საქმე თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს, თუმცა ყველაფერი გამოგივათ. საყვარელ ადამიანს ნუ დაღლით ლოდინითა და ეჭვებით, დროა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოთ.

***ლომი*** — დღეს განვითარებული მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ დასვენებაც აუცილებელია.

***ქალწული*** — დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. გელით ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი... საყიდლებისგან სჯობს, თავი შეიკავოთ, რადგან სწორი არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ.

***სასწორი*** — თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმყუდროვე, ამის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს, რაც გაუცნობიერებელ აგრესიას იწვევს. იზრდება კონფლიქტის რისკიც.

***ღრიანკალი*** — იმოქმედეთ შემუშავებული გეგმის მიხედვით და ყველა პრობლემას მარტივად მოაგვარებთ. პირად ურთიერთობებში კი მცირე გაუგებრობა იჩენს თავს, ამიტომ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანისადმი.

***მშვილდოსანი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს გარსკვლავები დღეს მშვიდ დღეს პირდებიან. შესაძლოა, საქმე გადაგღალოთ, მაგრამ ამის გამო ხელს ნუ ჩაიქნევთ.

***თხის რქა*** — თავი შეიკავეთ კრიტიკული შეფასებებისგან და იყავით ნაკლებად პრეტენზიული. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

***მერწყული*** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

***თევზები*** — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ ნაკლებად აყევით ემოციებს და მეტი პრაგმატიზმი გამოიჩინეთ, ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 1 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 8 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 |
| 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 5 | 6 | 1 | 8 |
| 5 | 7 | 6 | 3 | 4 | 9 | 2 | 8 | 1 |
| 8 | 1 | 4 | 2 | 6 | 7 | 9 | 5 | 3 |
| 2 | 3 | 9 | 5 | 1 | 8 | 4 | 6 | 7 |
| 1 | 6 | 8 | 9 | 3 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 9 | 5 | 2 | 7 | 8 | 6 | 1 | 3 | 4 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 5 | 2 | 8 | 9 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 3 | 5 | 6 | 4 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 4 | 6 | 9 |
| 4 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 4 |
| 9 | 4 | 5 | 1 | 7 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 7 | 6 | 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 9 | 1 |
| 6 | 8 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 5 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 4 | 8 | 1 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 1 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 | 4 | 6 |
| 9 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 2 | 3 | 7 |
| 4 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 9 | 1 |
| 7 | 1 | 9 | 3 | 5 | 6 | 4 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 | 9 |
| 3 | 4 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 |
| 5 | 2 | 7 | 6 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 |
| 1 | 9 | 6 | 5 | 2 | 3 | 7 | 8 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 2 | 1 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 5 | 1 | 3 | 8 | 7 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 6 | 9 | 4 | 5 | 2 | 7 | 8 | 1 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 9 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 5 | 6 |
| 6 | 9 | 2 | 3 | 7 | 5 | 1 | 4 | 8 |
| 5 | 1 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 7 |

მე-13 გვერდი: 1. ბერძენიშვილი; 2. ალადასტური; 3. ამბრი; კონტრიბუცია; 4. მი; 5. მაფშალია; 6. ვეა; 7. ლეი; 8. ნოდარ; 9. მულინე; 10. ლომონოსოვი; 11. ულმი; 12. იკერ კასილასი; 13. „ეფლი“; 14. იასი; 15. იდალგო; 16. კოდი; 17. დუნია; 18. დი; 19. ემბრიონი; 20. სტოა; 21. დიუნანი; 22. ძუა; 23. „დდტ“; 24. ოქტეტი; 25. რობერტ; 26. სტიქსი; 27. ორლი; 28. ანოდი; 29. სერდიკა; 30. სპასპეტი; 31. ჯორდანი; 32. უნტები; 33. ელდა; 34. გლიომა; 35. მიაუ; 36. იპონი; 37. გოია; 38. დიქტი; 39. ჯო; 40. ინტერვიუ; 41. იშტა; 42. ავლი; 43. ნალა; 44. ტანგენსი; 45. აკაპულკო; 46. არული; 47. მელისა; 48. რულადა; 49. რიანა; 50. პინა; 51. კარლეს პუიოლი; 52. ლევ; 53. ვიალი; 54. უმა; 55. რუკა; 56. სიძვა; 57. მანაგუა; 58. უნია; 59. ფერმა; 60. პიცა; 61. პარისი; 62. ულუ; 63. ნიკ; 64. იაკუძა; 65. ოცი; 66. ნატამალი; 67. ტყე; 68. მზე; 69. ფარა; 70. ალაო; 71. ოყა; 72. ფრაუ; 73. ობერეკი; 74. ფული; 75. უშუ.



# ყველაზე გავლენიანი წყვილები დაასახელეს

გავლენიანმა გამოცემამ Forbes მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი წყვილების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, წლევანდელ სიას ლიდერობენ აშშ-ს პრეზიდენტი და პირველი ლედი — ბარაკ და მიშელ ობამები. ჟურნალი აღნიშნავს, რომ მიშელი პრეზიდენტ ქმარზე მეტი პოპულარობით სარგებლობს, თანაც ცოლ-ქმარი მტკიცე ოჯახური ურთიერთობების დემონსტრირებას ახდენს, რაც სიყვარულსა და ურთიერთნდობას ეფუძნება. რეიტინგის მეორე საფეხური მელინდა და ბილ გეითსებს მიაკუთვნეს. „მაიკროსოფტის“ დამფუძნებლის ქონება 67 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, მელინდას წყალობით კი, საქველმოქმედო ფონდი შეიქმნა, რომელიც გაჭირვებულებს ეხმარება. ლიდერთა სამეულშია მომღერალი ბიონსე და ჯეი-ზი, რომლებიც ამერიკის პირველი წყვილის კეთილგანწყობით სარგებლობენ — ბიონსემ ობამას ინაუგურაციაზე ეროვნული ჰიმნიც კი შეასრულა. გავლენიანი წყვილების სიაში მოხვდნენ ასევე — ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი. როგორც ჩანს, ისინიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, ჯოლის მკერდის მასტექტომიასთან დაკავშირებული ისტორია კი სამაგალითო გახდა არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ მამაკაცებისთვისაც. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი და მისი მეუღლე ჰილარი, ამჟამად პოლიტიკასთან აღარ არიან დაკავშირებულნი, ეს წყვილი გავლენას კვლავ ინარჩუნებს. ექსპრეზიდენტი საქველმოქმედო ორგანიზაციას Global Initiative უდგას სათავეში, რომელმაც 73,1 მილიარდი დოლარის მობილიზება შეძლო კეთილი საქმეებისთვის, მათ არ ჩამორჩებიან ჟერარ პიკე და შაკირა, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩია, პიკე კი პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — „ბარსელონას“ ფეხბურთელი. სხვა გავლენიან წყვილებს შორის დასახელდნენ ბრაზილიელი სუპერ-მოდელი ჟიზელ ბუნდშენი და მისი მეუღლე ტომ ბრედი, ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II და პრინცი ფილიპი, ბარი დილერი და იანა ფონ ფიურსტენბერგი, მაიკ ნიკოლსი და დაიან სოიერი.



# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).




## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

## 3 წლის ქეთას დასახმარებელი საქველმოქმედო კონცერტი 3 ივნისს გაიმართება



თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსის, მევიოლინე თამარ მაღალაშვილის შვილს, 3 წლის ქეთა აბაშიძეს, ავტოავარიის შედეგად დაუზიანდა ზურგის ტვინი, ბავშვი 9 თვის მანძილზე დამოუკიდებლად ვერ სუნთქავს და ვერ მოძრაობს... და აი, გამოჩნდა იმედი! ისრაელის კლინიკაში REUTH MEDICAL CENTER-ში შესაძლებელია ქეთას მკურნალობა, რომლის სრული სარეაბილიტაციო კურსი 150 000 აშშ დოლარი ღირს.

ქეთას დასახმარებლად 3 ივნისს, 20 საათზე, გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ. კონცერტის სპეციალური სტუმარია ცნობილი ქართველი მომღერალი ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელი. ირაკლი ჩოლოყაშვილის დირიჟორობით კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მზია დავითაშვილი, ლიანა კალმახელიძე, მარიკა მაჩიტიძე, ანა ცარციძე, ელენე ჯანჯალია, ვანო გალუაშვილი, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, როსტომ იაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ანზორ ხიდაშელი. კონცერტის სრული შემოსავალი სამკურნალოდ გადაეცემა პატარა ქეთას.

**ქეთა აბაშიძის დახმარების მსურველებს, ასეთი ალბათ ბევრი იქნება, ასევე შეუძლიათ თანხის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე GE02 TB74 8613 6080 100003 (მიმღები — ააიპ ფონდი ქეთევან აბაშიძე) ან დარეკვა ნომერზე 09 01 700 705.**

**დაესწარით საქველმოქმედო კონცერტს და შეიტანეთ თქვენი წვლილი კეთილ საქმეში, ჩვენ ბევრნი ვართ და შევძლებთ!**

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.